ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი




სამშაბათი, 21 მაისი, 2013 №118 (6119) ფასი: 30 თეთრი

# ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა



რას აპირებს ლევან ვასაძე გვ.3



## დავით უსუფაშვილი: „პატრიარქის განცხადებამ გამაკვირვა“

გვ.3



## „სააკაშვილის რეჟიმმა ხალხი რომ დახოცა, მაშინ რატომ არ გამოგზავნეთ საპროტესტო ნოტა“

გვ.5

## სოსო ცისკარიშვილი: „პოლიციამ გეიაღლუმის ორგანიზატორების გეგმები ჩაუშალა“

გვ.6

ვის აწყობდა ქვეყანაში არეულობა





## ზაზა დავითაია: „ნაცრეჟიმისგან დათრგუნული ადამიანები კვლავ უუფლებოები ვართ“

გვ.2



## სააკაშვილმა უსუფაშვილს ეკვადორში ვიზიტი ჩაუშალა

გვ.4

## რა შემთხვევაში უნდა აიკრძალოს აბორტი

გვ.2



## „ჩვენი საზოგადოებით მანიპულირება ძალიან იოლია“

გვ.6



## 17 მაისის აქციამ თომას ჰამერბერგიც შეაწუხა

გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ ხალხის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა“

4 ვანუატუმ აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილება გააუქმა

7 ფეროშენადნობი ქარხნის მუშები ხელფასის გაზრდას ითხოვენ

5 „17 მაისს პოლიციას უფლებამოსილებისთვის არ გადაუმეტებია“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ზაზა დავითაია: „ნაცრეჟიმისგან დათრგუნული ადამიანები კვლავ უუფლებოები ვართ“

თამარ ნინიძე

ყოფილი პოლიტპატიმარი, უფლებადამცველი, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ზაზა დავითაია მოუწოდებს მმართველ კოალიციას, დროულად დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგები იქნება უმძიმესი. „ახალმა თაობამ“ ზაზა დავითაიას კომენტარი სთხოვა იმ შეკრებაზე, რომელიც სპორტის სასახლეში 19 მაისს გაიმართა.

— ჩვენი შეკრება მიზნად ისახავდა სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალებული საზოგადოების ყველა სპექტრის კოორდინაციას, რათა ერთობლივად მოახდინონ თავიანთი უფლებების დაცვა, სააკაშვილისგან დაზარალებული უფლებების რეაბილიტაცია. ეს შეკრება ორგანიზებული იყო, პირველ რიგში, ყოფილი პოლიტპატიმრების მიერ, რომლებმაც მოიწვიეს ამ შეხვედრაზე ქონებაწართმეული, ღირსებაშელახული მოქალაქეები. ეს შეკრება შედგა, გარკვეულ კოორდინაციას მართლაც ჩაეყარა საფუძველი, მთავარი მოთხოვნა ამ კოორდინაციისა იყო რეჟიმის გასამართლების დაყენების მოთხოვნა. ვფიქრობ, რომ რამდენიმე ათასი დაზარალებული ადამიანის დემონსტრირება მოვლენაა მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის, რომ ქვეყანაში ამდენი დაზარალებული არსებობს, რომ სპორტის სასახლე თითქმის სავსე იყო და მათი მოთხოვნა, რომ სააკაშვილის რეჟიმმა პასუხი აგოს ამ დაზარალებულების წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის, საკმაოდ ყურადსაღები და მნიშვნელოვანია და ყველა ხელისუფლებამ ასეთ მასშტაბურ მოთხოვნას უნდა გაუწიოს ანგარიში.

***— ჩვენ ვნახეთ, რომ მანამდეც გქონდათ მცდელობა, ჩაგეტარებინათ ეს ღონისძიება აპრილში, მაშინ ხელი რამ შეგიშალათ?***

— დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო, ჩვენ გვახსოვს, რომ აპირებდა აქციის გამართვას ნაცმოძრაობა, რომელმაც დიდი გაჭირვებით რამ-



დენიმე ათას ადამიანს მოუყარა თავი იმ აქციაზე დიდი ფულის დახარჯვის შემდეგ, წინმსწრები აქცია რომ ჩაგვეტარებინა, ეს ჩემი აზრია, დისონანსს შექმნიდა და ნაცმოძრაობას, რომელიც პროვოკაციისთვის არის განწყობილი, გაუჩენდა განცხადების საფუძველს, რომ მათი გამოხატვის თავისუფლება ითრგუნება და მიზანმიმართულად ხდება ხელის შეშლა. გარდა ამისა, იყო სხვა გარემოებები, თუმცა ჩვენ გავითვალისწინეთ ხელისუფლების უხერხული მდგომარეობა, ანგარიში გავუწიეთ ამ ფაქტორებს და კრება გადავიტანეთ შედარებით მშვიდობიანი პერიოდისთვის, როდესაც ნაციონალების, ამ თავად გასასამართლებელი პირების მიერ ორგანიზებულმა შეკრებამ ჩაიარა.

***— პროკურატურიდან ჯერ არ არის ეფექტური ქმედებები დაზარალებულთა მიმართ და მათი უფლებების დაცვის კუთხით, ამიტომ რას აპირებთ, მთავრობაში, პარლამენტში თუ ისევ პროკურატურაში დააყენებთ თქვენს მოთხოვნებს?***

— მე ვფიქრობ, რომ ყველა შესაძლო მექანიზმი იქნება გამოყენებული და ყველა ლეგალურ გზას მივმართავთ იმისთვის, რომ სამართლიანობა აღდგეს. ამ ბრძოლის პირველი ეტაპი 1 ოქტომბერს დამთავრდა, ამიტომ ბრძოლა დასრულებული არ არის. ნაცრეჟიმისგან უფლებაშელახული, დათრგუნული ადამიანები კვლავ არიან უუფლებო მდგომარეობაში, მათი უფლებები სრულად არ აღდგენილა, ხოლო სხვადასხვა თანამდებობებზე კვლავ არიან ის პირები, რომლებიც ამ ადამიანების დაჩაგვრაში მონაწილეობდნენ. რეჟიმის ნამსხვრევები რჩებიან ხელისუფლებაშიც. ეს არის ე.წ. კოჰაბიტაციის მავნე გამოვლინება, ამაო გამოვლინება და ეს სახელმწიფოსთვის არა მარტო უსარგებლოა, არამედ დიდი ზიანის მომტანია იმიტომ, რომ ხდება ნამუსის შენახვა დამნაშავეებისთვის. დანაშაულის მსხვერპლნი არიან კვლავ დაუცველნი და უყურადღებოდ მოტოვებულნი. ხელისუფლებას არ აწყენდა ჩვენი კეთილი რჩევის გათვალისწინება, როდესაც კოჰაბიტაციას ქადაგებს რაც უნდა დასავლეთიდან გავლენიანი წრეებისგან უნდა იყოს ნაკარნახევი, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს ხალხის ინტერესებზე, დაზარალებულების რეაბილიტაციაზე და არა დამნაშავეებისთვის სასჯელის არიდებაზე. ასეთ შემთხვევაში კოჰსაბიტაცია მეტნაკლებად მისასალმებელი იქნებოდა, მართლა შერიგების მანიფესტი დაერქმეოდა მას, მაგრამ ვიდრე „გულაობენ“ რეჟიმის შემოქმედნი, ეს კოჰაბიტაცია ახალი ხელისუფლების მიერ ხალხის წინააღდმეგ ახალ დანაშაულად აღიქმება. ხალხი ელოდება სამართლიანობის აღდგენას. ხალხმა ივანიშვილი თავისი გუნდით პირველ ოქტომბერს ამ მოთხოვნით მოიყვანა. სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას არ ჰქონია სოციალური მოთხოვნები, როდესაც ოქტომბრის არჩევნებზე ხმა მისცა ივანიშვილს და მის გუნდს. თუ ხალხის მთავარ მოთხოვნას წაუყრუებს, ის რისხვა, რომელიც ძველი რეჟიმის ჩინოსნებისკენ იყო მიმართული, ამჯერად უკვე ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ გადმოინაცვლებს, რაც სახელმწიფოს ნეგატიურ შედეგს მოუტანს. თუ ეს ხელისუფლება მართლაც ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებს, ეს არ უნდა დაუშვას.

***— ფრანგულ რესტორანში როცა მოხდა კონფლიქტი ნაცმოძრაობის წევრებსა და იქ მყოფ ადამიანებს შორის, ასევე 17 მაისს ყველგან ნაციონალებმა ეს პოლიტპატიმრებს დააბრალეს, განაცხადეს, რომ ეს იყო აგრესიული ე.წ. პოლიტპატიმრების მიერ ორგანიზებული ქმედებები. რას იტყვით ამ ბრალდებებზე?***

— კარგია, რომ ეს უკვე არა მარტო საზოგადოების, არამედ მედიისთვისაც შესამჩნევი გახდა, დიახ, ეს მართლაც ასეა, მინდა გითხრათ, რომ ნაციონალებს დასაკარგი მართლაც უკვე აღარაფერი აქვთ, ისინი ისეთ გზაზე დგანან, რომელიც აუცილებლად გისოსებით მთავრდება, ისინი მიმართავენ უკანასკნელ საშუალებას, უტიფრად აცხადებენ, რომ მათ მიერ ჩადენილი ქმედებები იყო სწორი, მათ მიერ ადამიანების რეპრესია იყო კანონზომიერი, ყველა საბუთი და დოკუმენტი მაქვს იმისა, რომ დამნაშავე არ ვიყავი და უდანაშაულოდ ვიქეცი პოლიტპატიმრად და ბრალდება, რომელიც რეჟიმმა წამომიყენა, იყო გამოგონილი. ეს ემსახურებოდა მხოლოდ იმ რეჟიმის პიარს. ამაოდ ქმნის ნაცმოძრაობა პიარს უცხოელი მფარველების წინაშე, თითქოს ის ადამიანები აწყობენ არეულობას, რომლებიც იყვნენ ციხეში და ახალმა ხელისუფლებამ გამოუშვა, ეს არის ტყუილი და ამ ტყუილს მეორე უსამართლო გამოვლინებაც აქვს. იმ რესტორნის ინციდენტში არც ერთ პოლიტპატიმარს არ მიუღია მონაწილეობა, იქ სამმა ადამიანმა, რომლებიც ახლა საზოგადოების ძალიან დიდი სიმპათიით სარგებლობენ, გული მოფხანეს ხალხს, შეასრულეს საზოგადოების ის დაკვეთა, რომელიც ჯერჯერობით ხელისუფლებას არ შეუსრულებია. მე ვამაყობ, რომ მათ პოლიტპატიმრები უწოდეს და ისინიც ამაყობენ ამით, მაგრამ ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ იქ არც ერთი პოლიტპატიმარი არ იყო, არც მამუკა ბაკურია, არც მანანა გიორგობიანი და არც მაზიაშვილი, პოლიტპატიმრები არ ყოფილან. ამ ინციდენტმა გამოაჩინა ნაციონალების ცრუ სახე, როგორ ურცხვად ცდილობენ ისინი საერთაშორისო საზოგადოების მოტყუებას. რაც შეეხება 17 მაისის ინციდენტს, რა თქმა უნდა, იქ ყოფილი პოლიტპატიმრებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მათი ხვედრითი წილი, თუ ამ აქციის მასშტაბებს მხედველობაში მივიღებთ, იყო ძალიან მცირე. საზოგადოების ფართო ფენები გამოვიდნენ ამ აქციაზე, ეს იყო საზოგადოების მასობრივი აღშფოთების საგანი. როცა ლგბტ პირები თავიანთი უზნეო ცხოვრების დემონსტრირებას აპირებდნენ და არა თავიანთი უფლებების დაცვას. მათი უფლებები არ იზღუდება, არავინ უშლის მათ იმ უზნეო ქმედებას, რასაც ისინი სჩადიან, თავიანთი საბნებიდან და ოთახებიდან ნუ გამოიტანენ ამას და საზოგადოებას ნუ შეულახავენ უფლებას, რომელიც სულაც არ არის ვალდებული, უცქიროს მათი უკუღმართი ცხოვრების პროპაგანდას. ამით ფართო საზოგადოების უფლებები ირღვევა. სულ ტყუილად ცდილობენ ნაციონალები ამის გადაბრალებას პოლიტპატიმრებისთვის. თუმცა ეს წრე იქნება მთავარი ბრალდების წამომყენებელი, როცა სასამართლოზე ისინი საბრალდებო სკამზე ისხდებიან, წინ მოსამართლე იქნება და სწორედ პოლიტპატიმრები გამოვლენ მთავარი მოწმეების რანგში.

# რა შემთხვევაში უნდა აიკრძალოს აბორტი

გულიკო ბალაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, სამართლის დოქტორმა ვასილ გონაშვილმა და „უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ აბორტის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის პრეზენტაცია მოახდინეს და ამ საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს მიმართავენ.

ვასილ გონაშვილმა განაცხადა, რომ მას შესწავლილი აქვს მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება. მან ისაუბრა ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილ ტენდენციაზე. კერძოდ: აბორტი სრულად აკრძალულია მსოფლიოს მხოლოდ 6 ქვეყანაში: მალტაში, ვატიკანში, დომინიკის რესპუბლიკაში, ელ-სალვადორში, ნიკარაგუასა და ჩილეში. კონტინენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე აბორტი ძირითადად აკრძალულია დედის სურვილის შემთხვევაში და, პირიქით, ნებადართულია ქალის სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობისას. ევროპაში აბორტის საფუძვლების შედარებით თავისუფალი რეჟიმი მოქმედებს და იგი უფრო მეტადაა ლეგალიზებული. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უმეტესობაში აბორტი ნებადართულია ნებისმიერ დროს. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში კი იგი შეზღუდულია ვადებით. თუმცა, აბორტის გაკეთების საფუძვლები თითქმის ყველგან მოქმედებს. საერთო ჯამში, მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში გვხვდება ჩანასახის პირველ ტრისემესტრში დედის სურვილით აბორტის გაკეთების წესი.

საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები ამბობენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში კომისია უნდა შეიქმნას, რომელშიც ისინიც ჩაერთვებიან.

პროფესორ ვასილ გონაშვილს ამ საკითხზე ნაშრომი აქვს დაწერილი და საუბრობს საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე.

— საქართველოს კანონმდებლობით, 12 კვირამდე ჩანასახის აბორტი შესაძლებელია მხოლოდ დედის სურვილით, ხოლო 12-დან 22-კვირამდე ჩანასახის აბორტი იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ საფრთხე ემუქრება დედის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ან ბავშვი ჩასახულია სასამართლოს მიერ დადასტურებული გაუპატიურების შედეგად, ან თუ ქალის ასაკი არ აღემატება 15 წელს ან პირიქით, გადაცილებულია 45 წელს. 22 კვირაზე დიდი ასაკის ჩანასახის აბორტის გაკეთების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ვასილ გონაშვილი ამბობს, რომ ჩანასახის კლასიფიკაცია, მისი განვითარების მიხედვით, ხდება ორ ეტაპად: მას 8 კვირამდე ეწოდება ემბრიონი, ხოლო შემდგომ დაბადებამდე — ფეტუსი. 12 კვირის ბავშვი საკმაოდ განვითარებულია: სასქესო ორგანოები განსხვავებულ ფორმებს იღებს, სახე იღებს ადამიანის გამომეტყველებას, მრავლდება ტვინის ნერვული უჯრედები, თითები გამოყოფილია ერთმანეთისგან, იწყებს მოხრას, თმები და ფრჩხილები იწყებს ზრდას, ვითარდება წოვის რეფლექსი.



— ამიტომ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ დედის სურვილით აბორტის გაკეთება შესაძლებელი უნდა იყოს 8 კვირამდე ემბრიონის არსებობის შემთხვევაში და არა შემდგომ — ფეტუსის დროს, როცა ბავშვი საკმაოდ განვითარებულია.

8-დან 22 კვირამდე ნაყოფის აბორტი კი შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება დედის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; თუ ბავშვს აქვს სერიოზული ნაკლი; ან ბავშვი ჩაისახა გაუპატიურების ან ინცესტის (სისხლის აღრევის) შედეგად.

ინცესტის შემთხვევას ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაგრამ ძალიან ბევრ ქვეყანაში გვხვდება (მაგალითად, რუმინეთში, პოლონეთში, ისლანდიაში).

არც ბავშვის ნაკლის არსებობის დროს აბორტის შესაძლებლობაა ჩვენი კანონმდებლობით აღიარებული, მაგრამ მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაშია ეს საფუძველი გათვალისწინებული. გაუპატიურების მოტივით აბორტის გაკეთება გვხვდება ასევე მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში.

საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია აბორტის დროს მამის უფლებებიც, რასაც ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

— ჩვენი აზრით, აუცილებელია მამის უფლების წამოწევაც და 8-დან 22 კვირამდე ჩანასახის აბორტის შემთხვევაში აუცილებელი უნდა იყოს ასევე მამის თანხმობა, თუ წყვილი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას აწარმოებენ და აღიარებენ მამობას (თუ მამა არ იმყოფება ძებნაში ან სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში) და თუ ბავშვს აქვს სერიოზული ნაკლი, ან ჩაისახა გაუპატიურების ან ინცესტის შედეგად. ვფიქრობთ, მამის თანხმობის დაწესება უფრო მეტად შეამცირებს არასასურველი აბორტების რიცხვს და ხელს შეუწყობს ოჯახების სიმყარეს. ასეთი წესი გვხვდება მსოფლიოს 10 ქვეყანაში, მათ შორის იაპონიაში.

ამასთან, დღევანდელი კანონმდებლობით, ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია, თუ ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა. ჩვენი აზრით, აღნიშნული მოსაფიქრებელი ვადაც უნდა გაიზარდოს 7 დღემდე, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს დედას გადაწყვეტილების ობიექტურად და სრულად შეფასებაში.

ვასილ გონაშვილი თავისი საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტისაგან შემდეგი რეგულაციების შემოღებას ითხოვს:

— ჩვენი წინადადებების მიხედვით, დედის სურვილით აბორტის გაკეთება შესაძლებელი უნდა იყოს 8 კვირამდე ემბრიონის არსებობისას, 8-დან 22 კვირამდე ნაყოფის აბორტის საფუძვლებს უნდა დაემატოს, თუ ბავშვს აქვს სერიოზული ნაკლი ან ჩაისახა ინცესტის (სისხლის აღრევის) შედეგად, ასევე გარკვეულ შემთხვევებში აბორტის გაკეთებაზე აუცილებელი უნდა იყოს მამის თანხმობაც, ასევე 7 დღემდე უნდა გაიზარდოს აბორტის გასაკეთებლად მოსაფიქრებელი ვადა. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ოჯახების სიმყარეს და შეამცირებს აბორტების რიცხვს.

ამ ინიციატივის პროპაგანდაში პროფესორ ვასილ გონაშვილს თავისი სტუდენტებიც ჰყავს ჩაბმული.

ნინო ხიზანიშვილი:

— ჩართული ვიყავი ამ საკითხის დამუშავებაში და თანაავტორი ვარ. გვინდა ამ სფეროში შეიქმნას გარანტიები და დაცული იყოს უფლებები. კერძოდ, ბავშვის დაბადებისა და სიცოცხლის უფლება. ამავდროულად, არ უნდა იყოს შეზღუდული დედის უფლებები და კანონმდებლობა ითვალისწინებდეს რაღაც ფორმით მის დაცვასაც.

წარმოდგენილი წინადადებები ცვლილებების შეტანას საჭიროებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში და ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებაში.

ინიციატორების მიერ წარმოდგენილი წინადადებების პაკეტი განსახილველად უახლოეს პერიოდში წარედგინება პარლამენტს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა

## რას აპირებს ლევან ვასაძე

შორენა მარსაგიშვილი

აი ცოტაც და ქვეყანა კვალავ საარჩევნო მარათონში ჩაებმება. ოქტომბრის თვეში საქართველომ პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. აქამდე მხოლოდ პრეზიდენტობის 2 კანდიდატი იყო ცნობილი (შალვა ნათელაშვილი და გიორგი მარგველაშვილი), გუშინ მათ მესამე ადამიანიც შეემატა. „სახალხო კრებამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძე დაასახელა. რომელიც ქვეყნის პირველი პირის მოვალეობას უკვე ორჯერ ასრულებდა.

„სახალხო კრების“ აღმასრულებელმა საბჭომ გუშინ შეხვედრა გამართა და საგანგებო განცხადებაც გაავრცელა. კრება, პრეზიდენტის პოსტზე ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას უალტერნატივოდ მიიჩნევს და საზოგადოებას მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

– დღეს, როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანას გამოცდილი პოლიტიკოსი, პრინციპული და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პრეზიდენტი სჭირდება საქართველოს ასეთი პრეზიდენტი სჭირდება სამართლიანობის აღდგენისათვის, სამოქალაქო მშვიდობის დამყარებისათვის, ხელისუფლების დაბალანსებისათვის და ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებისა და საერთაშორისო რეპუტაციის დაცვისათვის. დღეს, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე გახლავთ ყველა ამ თვისების მქონე პოლიტიკოსი. ჩვენ, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო მივმართავთ არასაპარლამენტო ოპოზიციას, საზოგადოებას, სრულიად საქართველოს, მხარი დავუჭიროთ ნინო ბურჯანაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევას! საქართველოს უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის წინაშე ანგარიშ-ვალდებული პრეზიდენტი სჭირდება! ჩვენ ველით, რომ საქართველოში რეალურად კონკურენტული და სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, – ნათქვამია „სახალხო კრების“ განცხადებაში.

„სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, ნინო ბურჯანაძე, დღეს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატია.

მისივე შეფასებით, ქვეყანას სჭირდება არა სიმბოლური წარმომადგენლობითი პრეზიდენტი, არამედ ძლიერი პოლიტიკური ფიგურა და საზოგადოებაში ძლიერ და მაღალი კლასის პოლიტიკოსად სწორედ ბურჯანაძე აღიქმება.

– დღეს საქართველოს ნამდვილად სჭირდება არა სიმბოლური წარმომადგენლობითი პრეზიდენტი, არამედ ძლიერი პოლიტიკური ფიგურა. ქვეყანას სჭირდება გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პრეზიდენტი, რომელიც დაეხმარება როგორც ქვეყანას, ისე დღევანდელ მთავრობას, რომ გატარდეს უფრო ენერგიული პოლიტიკა ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ასეთ ფიგურად „სახალხო კრებას“ სწორედ ნინო ბურჯანაძე გვესახება. ის დღეს ყველაზე რეალური კანდიდატურაა. ბურჯანაძე ძლიერი, ჩამოყალიბებული და გამოცდილი მაღალი კლასის პოლიტიკოსია. საზოგადოება იმასაც ხედავს, რომ ქვეყანაში მყიფე სიტუაციაა და ასეთ სიტუაციაში ჩვენ სიმბოლური პრეზიდენტი არ გვჭირდება, ჩვენ ძლიერი პრეზიდენტი გვჭირდება, – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა სააგენტო „ნიუსპრესთან“ საუბარში.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, „სახალხო კრების“ მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძის დასახელება, პრაქტიკულად მესამე პოლიტიკურ ძალას ქმნის. მისივე განცხადებით, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებთან შედარებით, ბურჯანაძეს ის პლიუსი აქვს, რომ მას მაღალ თანამდებობებზე, მათ შორის პრეზიდენტად მუშაობის გამოცდილებაც გააჩნია.

– ნინო ბურჯანაძე ძალიან საინტერესო კანდიდატურაა. შანსები ალბათ საკმაოდ სერიოზული აქვს, იმდენად რამდენადაც მას რამდენიმე აშკარა პლიუსი გააჩნია. ჯერ ერთი ის არ ეკუთვნის ხელისუფლებაში წარმოდგენილ არცერთ პოლიტიკურ წამყვან ძალას და მესამე მხარედ აღიქმება. თუ მან გაიმარჯვა, ეს არ იქნება რომელიმე მხარის ძალაუფლების გაზრდა. სხვა კანდიდატურებთან შედარებით ბურჯანაძეს ის დიდი პლიუსიც აქვს, რომ მაღალ თანამდებობებზე მუშაობის, მათ შორის პრეზიდენტად მუშაობის გამოცდილება გააჩნია და სახელმწიფოს მართვის ეს სიმაღლე მისთვის თავბრუდამხვევი არ იქნება. ჩვენ ის გვინახავს ასევე რუსულ მხარესთან დისკუსიებშიც. მას შეუძლია იყოს ძალიან დიპლომატიური და ამავე დროს ძალიან პრინციპულიც. ხასიათობრივად გვინახავს, რომ ის ძალიან უშიშარიცაა და ქუჩის პროცესებს არ მორიდებია. ესეც საკმაოდ დიდი პლიუსია, რადგან სიტუაცია რა მდგომარეობაში ჩააგდებს არავინ იცის, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ ჟურნალისტებთან საუბარში.




ბურჯანაძე რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას ეს ყველამ იცოდა. ამის მიუხედავად ატყდა ალიაქოთი. მეოცნებეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 2011 წლის 26 მაისის შემდეგ ბურჯანაძეს პოლიტიკაში ყოფნის უფლება არა აქვს. ეტყობა ამ მეოცნებეებს არ ახსოვთ რა თქვა ივანიშვილმა 26 მაისის აქციაზე. განაცხადა რომ სწპრედ 26 მაისის შემდეგ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა და სააკაშვილთან დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, რომ არა სისხლიანი 26 მაისი, ბევრი მეოცნებე ახლაც შეუმჩნევლად იჯდებოდა თავისთვის.

თავიანთი კანდიდატურის დასახელებას ივნისის თვეში აპირებენ ნაციონალები. რჩეულის გამოსავლებად პრაიმერის ჩატარება იგეგმება. ჯერჯერობით მხოლოდ 2 კანდიდატია შერჩეული საპრაიმეროდ. ესენი ზურაბ ჯაფარიძე და გია ბარამიძე არიან. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე პრაიმერიში მონაწილეობაზე უარს ამბობს. ამბობენ, რომ მას პოლიტიკიდანაც სურს წასვლა.

უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის დავით დარჩიაშვილის თქმით, ნაციონალების ლიდერთა უმეტესობას პრაიმერიში და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა არ სურს.

გავრცელებული ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ბიზნესმენი ლევან ვასაძეც აპირებს. ამბობენ რომ მას საპატრიარქო უჭერს მხარს. და ვინ იცის სწორედ ამის ბრალია, მეოცნებეთა ნაწილი საპატრიარქოს ცუდად რომ გადაეკიდა.

# დავით უსუფაშვილი: „პატრიარქის განცხადებამ გამაკვირვა“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა არჩევნებიდან მოკლე ხანში ხალხის გულის მონადირება მარტივად შეძლო. მისი რეიტინგიც გაიზარდა. მას შემდეგ რაც ნაციონალებისთვის პატიების სურვილი გამოხატა, მისი რეიტინგიც დაბლა წავიდა. მიმტევებელმა სპიკერმა ყველასთვის მოულოდნელად სასულიერო პირების დასჯა მოითხოვა. საუბარია იმ მღვდლებზე, რომლებიც 17 მაისს ლგბტ პირების აქციის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

იმ დღეს სასულიერო პირების ნაწილი მართლაც აგრესიულად იქცეოდა. ამას თავად ეკლესიაც აღიარებს. მეუფე იაკობის განმარტებით, სასულიერო პირები მზად არიან საერო სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

ასეთი სასამართლოს გამართვის წინააღმდეგი არც პარლამენტის თავმჯდომარე გახლავთ. დავით უსუფაშილის განცხადებით, არც ერთი რელიგიის წარმომადგენელი არ არის პასუხისმგებლობისგან თავისუფალი, თუ მან კანონი დაარღვია.

– ვიდრე კანონის წინაშე თანასწორობა არ იქნება, პოლიტიკური შეხედულების, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის და რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, ისე სახელმწიფო ვერ გვექნება. სასულიერი პირებს კანონმდებლობით გარკვეული პრივილეგიები და გარკვეული განსხვავებული რეჟიმი აქვთ სხვადასხვა საკითხებში, მათ შორის, აღსარების საიდუმლოს დროს მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. არავის აქვს უფლება, სასულიერი პირო დაიბაროს და აღსარების საიდუმლოს შესახებ რაიმე ჰკითხოს, მაგრამ არც ერთი კანონი არ ამბობს, რომ ვინმე არის თავისუფალი პასუხისმგებლობისგან, თუ მან დააზიანა სხვისი ქონება, ვთქვათ, რაიმე გატეხა, დაამტვრია ვიდეო-კამერა და ა.შ. ასეთი იმუნიტეტი არ აქვს არავის, არც ერთი რელიგიის და პროფესიის წარმომადგენელს. თუ ვინმემ ემოციის ან სხვისი აყოლის გამო კანონი დავარღვიეთ, მაშინ ამაზე პასუხიც უნდა ვაგოთ"\, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, 17 მაისს განვითარებული მოვლენებიდან ყველა ადამიანმა მათ შორის, იმანაც, ვინც თვლიდა, რომ ქვეყნისთვის საჭირო საქმეს აკეთებდა, სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანოს.

ავადსახსენებელი აქციის წინა დღეს საქართველოს პატრიარქმა სპეციალური განცხადება გაავრცელა. ის ხელისუფლებას სთხოვდა ლგბტ პირების აქციის ჩატარება არ დაეშვათ.

ეს მოწოდება ხელისუფლებამ დააიგნორა. დავით უსუფაშვილმა მაშინვე განაცხადა, რომ აქციის გადადების წინააღმდეგი იყო. ახლა კი პატრიარქის განცხადებით გაკვირვებას გამოხატავს და ჩივის, რომ ილია II-ს ხელისუფლებასთან კონსულტაციები არ გაუმართია.



– მე პატრიარქის განცხადებას აქციამდე ერთი დღით ადრე გავეცანი და ცოტა არ იყოს გავვოცდი, რადგან 17 მაისის დემონსტრაცია გაცილებით ადრე იყო დაანონსებული და ამ თემაზე 17 მაისამდე 4-5 დღით ადრე პრემიერ-მინისტრმაც ისაუბრა. როდესაც სახელმწიფო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ნებართვის მიცემა თუ გაუქმება მოსაზრებაა გამოთქმული, თუნდაც ეს მოსაზრება მის უწმინდესობას ეკუთვნოდეს, მისი განსჯა, გარკვევა, ანალიზი, დათანხმება, არ დათანხმება, ეს ჩვენი კონსტიტუციური უფლება და მოვალეობაა. როდესაც საუბარია საერო ცხოვრების იმ ნაწილზე, რომელიც გულისხმობს მოქალაქეებმა სად გაიარონ, სად შეიკრიბონ, ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ თემაზე კრიტიკული პოზიციის გამოთქმა, ეს სწორი და აუცილებელია და ამას ყველა უნდა შეეგუოს, ამ შემთხვევაში ეკლესიის წარმომადგენლებიც. რაც შეეხება მეორე საკითხს, შეიძლებოდა თუ არა ნებართვის გაუქმება, მე ვამბობ, რომ არ შეიძლებოდა, რადგან საქართველოში მოქალაქეთა შეკრების რეჟიმი, ეს სანებართვო რეჟიმი არაა, ეს გაფრთხილებითი რეჟიმია, როდესაც ორგანიზატორები კონკრეტულ თარიღს და ადგილს მიუთითებენ. აქციამდე ერთი დღით ადრე ამ ტიპის მოწოდება, მით უმეტეს სახელისუფლებო ორგანოებთან რაიმე კონსულტაციების გარეშე, ჩემთვის გასაკვირია. არ მგონია, ამ განცხადებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში პოზიტივი შეეტანა, რადგან წინდაწინ ცხადი იყო, რომ ამ მოწოდების შემდეგ ხელისუფლება ვერაფერს აკრძალავდა, – განაცხადა „მეცხრე არხის“ ეთერში საუბრისას უსუფაშვილმა.

პარლამენტის სპიკერი კმაყოფილია იმით, რომ 17 მაისს სახელმწიფომ გამოცდის პირველი ტესტი ჩააბარა. მისი აზრით, 17 მაისი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი მძიმე დღე იყო.

– რუსთაველზე ბევრი რამ გვინახავს. მათ შორის მსხვერპლიც ყოფილა და ამას ეს ყველაფერი ვერ შეედრება, მაგრამ ის რაც ვნახეთ, მძიმე იყო და პოლიტიკურად სახიფათო და საყურადღებო, რომელიც საზოგადოების მხრიდან თუ არა იქნება გააზრებული, შეიძლება კიდევ უარესი ვიხილოთ. აქ რამდენიმე ასპექტია. ჯერ კიდევ ყველას არ გვაქვს გათავისებული მარტივი ჭეშმარტირება, რომ ძალადობა მარცხდება და ამ პრობლემის მოგვარების სწორი გზა არ არის ძალადობა. არ მინდა, რომ საქართველში ქართველები და ეკლესიის წარმომადგენლები მარცხებოდნენ და რწმენასა და კულტურას რაიმე ფოემით პრობლემები შეექმნას. თუ ადამიანები ძალადობისკენ მოუწოდებენ და თუ ეკლესიის და ღმერთის სახელით სჩადიან ამას, ან ხვალ გააგრძელებენ ამის ჩადენას, ცუდად წავა საქმე, – განაცხადა უსუფაშვილმა.

რაც შეეხება იმას სახელმწიფომ ჩააბარა თუ არა გამოცდა, უსუფაშვილი აცხადებს, რომ სახელწმიფომ გამოცდის პირველი ტესტი ჩააბარა.

– პოლიციელებმა დინამიურ ვითარებაში მოახერხეს სწორი პრიორიტეტების არჩევა და დემონსტრანტთა გადარჩენა. პოლიციამ პირველი გამოცდა ჩააბარა და თავის თავზე მიიღეს აგრესია და არ გამოიყენეს სხვა საშუალებები, მაგალითად, სპეცრაზმი. ამ შემთხვევაში, არეულობა გაცილებით დიდი მასშტაბის იქნებოდა. მეორე ტესტია ის, რომ კონკრეტულმა ადამიანება აგონ პასუხი, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ერთ რამეში მართალია სპიკერი, კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. მაგრამ საინტერესოა ნაციონალებისთვის კანონი არ არსებობს? ან იქნებ კოჰაბიტაციის ხათრით მათ ყველაფერი უნდა მივუტევოთ, მათ ნაცვლად კი სასულიერო პირები დავსაჯოთ.

საქართველოს მოქალაქეები მიმართავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დაისაჯონ მოძალადეები და ქვეყანას აიცილონ თეოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საფრთხე. მიმართვას, რომელიც ინბტერნეტით ვრცელდება, 20 მაისიის დილის 11:30 საათის მონაცემებით 1249 მოქალაქე აწერს ხელს. „ახალი თაობა“ გთავაზობთ აღნიშნულ მიმართვას:

– 2013 წლის 17 მაისს განხორციელდა ჰომოფობიასა და ტრანსოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული აქციის, 18 მაისის აქცია ძალადობის წინააღმდეგ დარბევა აგრესიული ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები და მათი მომხრეები. მათ საქართველოს საზოგადოებისა და ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანების სახელით მოახდინეს უმცირესობაში მყოფ ადამიანთა მშვიდობიანი ჯგუფის დევნა. ეს გახლდათ გალაშქრება არა მხოლოდ ლგბტ საზოგადოების, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგაც, რადგან ამ ქმედებით ექსტრემისტულმა ჯგუფმა უგულებელყო საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა – დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საფუძველი. მიგვაჩნია, რომ 2013 წლის 17 მაისს ექსტრემისტულმა ჯგუფმა უხეშად დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლები: 126-ე მუხლი – ძალადობა; 142-ე მუხლი – ადამიანთა თანასწორუფლებიანობის ხელყოფა; 153-ე მუხლი – სიტყვის თავისუფლების ხელყოფა; 154-ე მუხლი – ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა; 161-ე მუხლი – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა; 239-ე მუხლი – ხულიგნობა; 352-ე მუხლი – სახალხო დამცველზე ზემოქმედება; 353-ე მუხლი – პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა; 353-ე პრიმა მუხლი – წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომამდგენლის მიმართ.

ამასთან, 2012 წლის 27 მარტს, სისხლის სამართლის კოდექსში დამატებული 53-ე მუხლის მე-3 პრიმა პუნქტის თანახმად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება: „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.“

აღმაშფოთებლად მიგვაჩნია ამ ფაქტის შეფასებისას პოლიტიკოსთა ნაწილის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც დემოკრატიას საზოგადოების უმრავლესობის უმცირესობაზე დიქტატად წარმოადგენენ. დემოკრატიული სახელმწიფო გულისხმობს კანონის წინაშე როგორც საზოგადოების უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენელთა თანასწორობას და კანონით მინიჭებული უფლებებით უმცირესობების მიერ თანასწორ სარგებლობას. დემოკრატიულ ქვეყანაში მნიშვნელოვანია ყოველი ადამიანი და არა მხოლოდ უმრავლესობა, კანონის წინაშე თანასწორობა კი თანაბრად უნდა ეხებოდეს საერო თუ სასულიერო პირებს.

არსებობს ვიდეო და ფოტომასალა, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზემოჩამოთვლილ კანონდარღვათა მტკიცებულებებად. მასზე, კერძოდ, დაფიქსირებულია, რომ სასულიერო პირები არღვევენ პოლიციის კორდონს, რითაც გზას უხსნიან აგრესიულ მასას ლგბტ აქციის დაუცველი მონაწილეებისკენ, უქმნიან მშვიდობიან ადამიანებს ფიზიკური განადგურების საშიშროებას და სდევნიან მათ. მათი ზოგადი ჩართულობა, ჟესტიკულაცია, რეპლიკები და განცხადებები დემონსტრანტებს აგრესიისა და ძალადობისკენ უბიძგებს.

მაგალითისთვის, საგულისხმოა მეუფე იაკობის რამდენიმე განცხადება, რომელშიც მჟღავნდება ქრისტიანული რელიგიის და, შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრისა და მორალის მონოპოლიზების ტენდენცია („ჩვენ ნუ გვასწავლით ქრისტიანობას...“), ასევე ის, რომ იგი მშვიდობიანი აქციის დარბევის ორგანიზატორთაგანია (მეუფე იაკობმა დემონსტრაცია დასრულებულად გამოაცხადა, როგორც „ქართველი ერის დაკვეთა; ჭეშმარიტი ქართველების ნების აღსრულება“ და დემონსტრანტები სამების ტაძარში წაიყვანა).

მოვითხოვთ, ადეკვატურად და დროულად შეაფასოთ აღნიშნული ფაქტები. უმოქმედობა შესაძლოა მეტისმეტად ძვირად დაუჯდეს საქართველოსდემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას, რადგან მიგვაჩნია, რომ ამჟამად ვდგავართ რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და თეოკრატიის სერიოზული საფრთხის წინაშე. ამის თავიდან აცილება ერთადერთი, ცივილიზებული გზით არის შესაძლებელი – ყველა მოძალადე და ძალადობის წამქეზებელი კანონის მოთხოვნის შესაბამისად უნდა დაისაჯოს, – ნათქვამია განცხადებაში.

აღშფოთებულ საზოგადოებას პროკურატურაც ეხმიანება. არჩილ კბილაშვილის უწყება პირობას დებს, რომ დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან. ნაციონალების შემთხვევაში სამართალი ურმით დადის, საინტერესოა რითი ივლის სამართალი სასულიერო პირების შემთხვევაში.

# 17 მაისის აქციამ თომას ჰამერბერგის შეაწუხა

ნათია ხურცილავა

საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს თომას ჰამერბერგი აფასებს. გუშინ მან სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც 17 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენები შეაფასა.

თომას ჰამერბერგის, ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველს საქართველოს მთავრობისთვის სამართლიანობისა და კონსტიტუციური რეფორმისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში, გაუძნელდება გარესამყაროს აუხსნას, როგორ შეიძლებოდა დემოკრატიულ ქვეყანაში 17 მაისის მსგავსი რამ მომხდარიყო.

ჰამერბერგი, მიუხედავად კრიტიკისა, პრემიერ-მინისტრს გამბედაობას უწონებს, სწორედ ასე შეაფასა მან ივანიშვილის განცხადება.

— რა თქმა უნდა, მეტად გულდასაწყვეტია ის ფაქტი, როდესაც მშვიდობიან დემონსტრანტებს არ მიეცათ საშუალება ესარგებლათ თავისი კონსტიტუციური უფლებით. ყველას უნდა ჰქონდეს შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის უფლება. ამგვარი მოვლენების შედეგად გამარჯვებული არავინ დარჩა. ყველამ წააგო. გამიძნელდება გარესამყაროს ავუხსნა, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო მსგავსი რამ დემოკრატიულ ქვეყანაში, თუმცა მე მივუთითებ პოზიტიურ ფაქტებზეც, პრემიერის განცხადება იყო გაბედული და დროული. ჩანდა ის ლიდერობა, რომელიც საჭირო იყო. გარდა ამისა, ყველა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, დაგმო მომხდარი. აქედან გამომდინარე, ის ნაბიჯები, რომელიც იქნება გატარებული მომავალში, რათა აღდგეს სამართლიანობა, არ გამოიწვევს პოლიტიკურ დაპირისპირებას. ამასთან, მე ყურადღება მივაქციე ქორეპისკოპოს იაკობის განცხადებას,



რომ ეკლესია არ შეეწინააღმდეგება თუ სასამართლოს წინაშე წარდგებიან ისინი, ვინც ძალადობა ჩაიდინა. ამასთან, ვფიქრობ, რომ ეკლესიის შიგნითაც იქნება მსჯელობა, თუ რა მოხდა ამ დღეს, — აცხადებს ჰამერბერგი.

ჰამერბერგი არ თვლის, რომ 17 მაისს განვითარებული მოვლენები საქართველოს ევროატლანტიკურ ინტერესებს დაბრკოლებებს შეუქმნის და შემდგომი ნაბიჯები შესაძლოა საქართველოს პოზიციების გაძლიერებაში დაეხმაროს.

სპეციალური მრჩეველი, როგორც მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, ყველანაირად შეეცდება განმუხტოს ის ნეგატიური იმიჯი, რაც 17 მაისის კადრების გავრცელებით მსოფლიოში შეიქმნა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ რა პროცესებს ჰქონდა ადგილი 17 მაისს თბილისის ქუჩებში, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოს მთავრობისთვის სამართლებრივი და კონსტიტუციური რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამერბერგი მიიჩნევს, რომ 17 მაისს განვითარებულ მოვლენებში პოლიციის დადანაშაულება, სამართლიანი არ იქნება.

— პოლიციის მოქმედებებს რაც შეეხება, ადგილზე არ ვყოფილვარ და ვნახე მხოლოდ ის ჩანაწერები, რაც გავრცელდა, კადრებში ჩანს, რომ ხალხის მოზღვავება იმდენად დიდი იყო, პოლიციელებს გამკლავება გაუჭირდათ. რამდენიმე პოლიციელი დაშავდა კიდეც. რომ არ ყოფილიყო პოლიციის მოქმედებები ისეთი, როგორიც იყო, ვფიქრობ, უარესი შედეგი დადგებოდა, არ იქნება სამართლიანი, თუ ამ სიტუაციაში პოლიციას დავადანაშაულებთ, პრობლემა კონტრდემონსტრანტებში იყო, — განაცხადა თომას ჰამერბერგმა.

ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი თომას ჰამერბერგი 17 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მცხეთა-თბილისის მთავარესიკოპოსთან, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტთან, უწმინდესთან და უნეტარეს ილია მეორესთან ისაუბრებს.

როგორც პრესკონფერენციაზე ჰამერბერგმა აღნიშნა, ის მის უწმინდესობას საქართველოში მომდევნო ვიზიტისას, ივნისში შეხვდება. ჰამერბერგი იმედოვნებს, რომ გამოძიება წარიმართება და დამნაშავეები კანონის წინაშე პასუხს აგებენ.

ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის საქართველოს მთავრობისთვის სამართლებრივი და კონსტიტუციური რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამერბერგის განცხადებით, პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხი ეტაპობრივ დიალოგსა და განხილვას საჭიროებს.

— ერთ-ერთი ჟურნალისტის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება არის ფაქტი, რომელზეც განგაშის ზარი უნდა შემოიკრას. პირადი ცხოვრების კადრების ასახვა არაკანონიერად, სერიოზული დანაშაულია. როგორც ჩანს, არსებობს სხვა ჩანაწერებიც. მათი საკმაოდ დიდი რაოდენობაა შინაგან საქმეთა სამინისტროში შენახული. სამწუხაროდ, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ზოგიერთი ჩანაწერი გატანილია. მიდის დიალოგი, რათა შემუშავდეს შესაბამისი კანონი, რომელიც ამ ვითარებას მოაგვარებს. ჩვენ წინაშე ორი ამოცანაა: მოხდეს არსებული ჩანაწერების განადგურება იმგვარად, რომ არასოდეს ამოტივტივდეს და მეორე მხრივ, აუცილებელია სამართლებრივი რეგულირება, როცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება, ჩანაწერები გაკეთდეს, მხოლოდ მოსამართლის ნებართვით, — განაცხადა ჰამერბერგმა.

მისივე აზრით, გამოძიების ფარგლებში თვალთვალი მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ უკავშირდება გამოძიებას, დაუყოვნებლივ განადგურდეს და გამოძიების დასრულების შემდეგ, პირს უნდა ეცნობოს, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა თვალთვალი და ეს შეწყდა.

ჰამერბერგის აზრით, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია მართლმსაჯულების არსებული სისტემის პარალელური არ უნდა იყოს.

როგორც ჰამერბერგმა აღნიშნა, ეს კომისია არსებული მართლმსაჯულების სისტემის ჰარმონიულ და განუყოფელ ნაწილად უნდა ჩამოყალიბდეს.

როგორც ის ამბობს, თავდაპირველად ფიქრობდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული დებულება, რომელიც ახალი გარემოებების აღმოჩენას უკავშირდებოდა, საკმარისი იყო საქმეების გადახედვისთვის, თუმცა, როცა ამ საკითხს ჩაუღრმავდა, მიხვდა, რომ ეს საკმარისი არ იყო.

— ახალმა მიდგომამ მიიღო კანონპროექტის სახე, რომელიც ეხება მართლმსაჯულების დამდგენი კომისიის შექმნას. ეს არ უნდა იყოს პარალელური მართლმსაჯულების ადგილი, არამედ უნდა გახდეს არსებული სისტემის ნაწილი. კომისიის წევრები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ პოლიტიკოსები. აუცილებელია კომისია პროფესიონალებით დაკომპლექტდეს და არ ემსახურებოდეს პოლიტიკურ მიზნებს. 7 ათასი საჩივარია შესული პროკურატურაში, პარლამენტსა და ომბუდსმენის ოფისში. მთავარი გამოწვევა არის ის, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ პირების დაკმაყოფილება, რომლებიც თვლიან, რომ მათ მიმართ უსამართლო განაჩენი იყო გამოტანილი და უკვე დახურული საქმეების გადახედვა ისე, რომ სასამართლოს სისტემის ნდობის მთლიანად შებღალვა არ მოხდეს. ჩემი პოზიციაა, რომ ადამიანებს უნდა მიეცეთ საქმეების გადახედვის საშუალება იმ შემთხვევაშიც, თუ საქმე დახურულია, — განაცხადა ჰამერბერგმა და დასძინა, რომ აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით ვენეციის კომისია დასკვნას ივნისში მოამზადებს.

## ვანუატუმ აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილება გააუქმა

ვანუატუმ „აფხაზეთის რესპუბლიკის" დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების გადაწყვეტილება გააუქმა.

ამის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. სხვა ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ ვრცელდება.

ნიუსპრესი

## არჩილ კბილაშვილი სამუშაო ვიზიტით ყაზახეთში გაემგზავრა

საქართველოს მთავარი პროკურატურის დელეგაცია, არჩილ კბილაშვილის ხელმძღვანელობით, დღეს ყაზახეთში გაემგზავრა. ქართული დელეგაციის წევრები ასტანაში, ყაზახეთის გენერალურ პროკურორს და პროკურატურის თანამშრომლებს შეხვდებიან.

მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერება ხელი. მემორანდუმის მიხედვით, მხარეები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და საკუთარი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად ითანამშრომლებენ.

ნიუსპრესი

## შინაგან საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაემგზავრა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაემგზავრა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში საქართველოს შს მინისტრი შეხვედრას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზედენტ ბატონ ილჰამ ალიევთან გამართავს.



ირაკლი ღარიბაშვილი ასევე შეხვდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, ეროვნული უშიშროების და საგანგებო სიტუაციების მართვის მინისტრებს და საზღვრის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობას. ვიზიტის მსვლელობისას მხარეები განიხილავენ სამართალდაცვით სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს. საუბარი შეეხება აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ რეფორმებს და ამ მიმართულებით დაგეგმილ სხვა ღონისძიებებს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 22 მაისს დასრულდება.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა აბორტის აკრძალვის მომხრეა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" მიერ, მიმდინარე წლის 13 მაისიდან 20 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს აბორტის აკრძალვას უჭერს.

კითხვაზე - „უნდა აიკრძალოს თუ არა საქართველოში აბორტი," გამოკითხვაში მონაწილეთა 55,9 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, საწინააღმდეგო მოსაზრება კი 17,6 პროცენტმა დააფიქსირა. ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხულთა 26,5 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

# სააკაშვილმა უსუფაშვილს ეკვადორში ვიზიტი ჩაუშალა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა კოჰაბიტაციაზე გააკეთა კომენტარი. ზალკალიანის განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის კოჰაბიტაციაზე აქტიურად მუშაობს.

ასეთი შეფასება საგარეო უწყების წარმომადგენელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ საქართველოს მთავრობისთვის გამოგზავნილი წერილის კომენტირებისთვის დასჭირდა. ჩრდილოატლანტიკური საბჭო ხელისუფლებასა და ოპოზიციას კოჰაბიტაციისკენ მოუწოდებს.

— რაც შეეხება კოჰაბიტაციას, ამ კუთხით პოზიტიური იყო ის, რაც პარლამენტში მოხდა, როცა უმრავლესობამ და უმცირესობამ კონსტიტუციური ცვლილებები ერთად დაამტკიცეს. ასევე კონსესუსით მოხდა ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღება. გარდა ამისა, მაქვს ინფორმაცია, რომ ამ მიმართულებით პარლამენტში აქტიურად მუშაობს დავით უსუფაშვილი. მას ურთიერთობა აქვს როგორც უმრავლესობასთან, ისე უმცირესობასთან. ასე რომ, პარლამენტში ამ მხრივ წარმატებული ნაბიჯებია გადადგმული, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსთაველის გამზირზე 17 მაისს განვითარებული მოვლენებიც შეაფასეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო დარწმუნებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარ ინციდენტს მიუკერძოებლად გამოიძიებს.

— ამ მოვლენაზე ჩვენ პრემიერ-მინისტრის პოზიციასთან სრულ თანხვედრაში ვართ. ძალადობა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის ჩაგვრა ნებისმიერი ფორმით მიუღებელია. ყველა ადამიანი, ვინც კანონის წინაშე დანაშაული ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მიუკერძოებელ გამოძიებას ჩაატარებს, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ პრეზიდენტის ვიზიტებზეც ისაუბრეს. მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, პრეზიდენტისა და საგარეო უწყების ვიზიტების არაკოორდინირებულობა მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციას უკავშირდება.

ასე გამოეხმაურა ზალკალიანი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმად, ქვეყნის პირველმა პირმა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საპარლამენტო უმრავლესობას საზღვარგარეთ ვიზიტების ერთობლივად განხორციელება შესთავაზა. პრეზიდენტის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო ახლა მასთან ერთად არაღიარების პოლიტიკაზე უნდა მუშაობდეს.

— არაღიარების პოლიტიკა ჩვენი მთავარი გამოწვევაა და ამ მიმართულებით ინტენსიურად ვმუშაობთ. ჩვენ მიერ განხორციელებული ყველა ვიზიტის მთავარი დანიშნულება არაღიარების პოლიტიკაზეა ორიენტირებული. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები და მისი ადმინისტრაციის ქმედება ერთმანეთისგან განსხვავებულია. აქვე გეტყვით, რომ სწორედ იმ რეგიონში, სადაც ახლა პრეზიდენტია, დავით ჯალაღანია იმყოფებოდა, — განაცხადა ზალკალიანმა.



მინისტრის პირველი მოადგილე პრეზიდენტის მიერ ეკვადორში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევას გამოეხმაურა.

— ეკვადორში ვიზიტს ვგეგმავდით. დავით უსუფაშვილს ბილეთებიც კი აღებული ჰქონდა. ჩვენ ამ დრომდე ვიცოდით, რომ იქ პრეზიდენტი არ მიდიოდა, თუმცა, გუშინ გავიგეთ, რომ ქვეყნის პირველი პირი ეკვადორში მიდის და, შესაბამისად, უსუფაშვილის ვიზიტი გაუქმდა. ხვალ ეკვადორში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია გაემგზავრება. რაც შეეხება არაკოორდინირებულ მუშაობას, ეს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება, თუმცა, ამის მიუხედავად, როგორც კი პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ შევიტყობთ, ჩვენ ადმინისტრაციას სრულ საინფორმაციო მხარდაჭერას ვუწევთ, კულუარებში მუშაობა კი ნამდვილად არ გვესწავლება, — განაცხადა ზალკალიანმა.

როგორც ცნობილია, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ელჩთან შოთა ღვინერიასთან სატელეფონო საუბარში წუხილი გამოთქვა 17 მაისს თბილისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ელჩი მომხდარი მოვლენების გამო ახსნა-განმარტებისთვის დაიბარა.

— ჩვენი ელჩი დაბარებული არ იყო. იქ შედგა სატელეფონო კომუნიკაცია, სადაც ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით წუხილი გამოთქვა. სხვა ქვეყნებისგან რაიმე მნიშვნელოვანი გამოხმაურება ამ ამბავს არ მოჰყოლია, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებულმა რამდენიმე ელჩმა შესაბამისი განცხადება გააკეთა, — განაცხადა ზალკალიანმა.

ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსთაველის გამზირზე მომხდარ მოვლენებს უწყების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წერილით გამოეხმაურა.

— საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანს ტიმერმანი გამოხატავს შეშფოთებას თბილისში განვითარებული მოვლენების გამო. ანტი-გეი აქტივისტების კონტრდემონსტრაციამ ძალადობრივი ხასიათი შეიძინა, რის გამოც დაშავდნენ ადამიანები. ეს დაუშვებელია, განსაკუთრებით ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, რადგან ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება საკუთარი ფუნდამენტური უფლებები გამოეყენებინათ, რაც მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას გულისხმობს, — ნათქვამია განცხადებაში.

ნიდერლანდები ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან ერთად შეახსენებს საქართველოს მთავრობას, რომ პოლიციამ ამ ადამიანთა უფლებები უნდა დაიცვას.

— ნიდერლანდების ხელისუფლება გამოიძახებს საქართველოს ელჩს ჰააგაში იმისთვის, რომ საკუთარი უკმაყოფილება გამოხატოს, — აღნიშნულია განცხადებაში.

გუშინ პრესკონფერენციაზე საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ აღნიშნა, რომ 23 მაისს თბილისში საქართველო-ფინეთს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, კონსულტაციების ფარგლებში საქართველოს ფინეთის დეპარტამენტების დირექტორები ეწვევიან.

ზალკალიანის თქმით, შეხვედრებზე განხილული იქნება საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე განსახორციელებელი და უკვე განხორციელებული რეფორმები.

მისივე თქმით, დეპარტამენტების დირექტორები პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თამარ ბერუჩაშვილს და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს დავით ბაქრაძეს შეხვდებიან.

# „17 მაისს პოლიციას უფლებამოსილებისთვის არ გადაუმეტებია“

შორენა კოწოწაშვილი

კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი დავით ლილუაშვილი ნაციონალების აპოლოგეტ ვაი უფლებადამცველებს, რომლებიც გრანტების მისაღებად ყველაფერზე წავლენ, სასულიერო პირების პასუხისგებაში მიცემაზე აპელირებისგან თავის შეკავებას ურჩევს. ამასთან, ლილუაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსთაველზე გარყვნილების პროპაგანდისთვის გამოსული ადამიანები ნაციონალებისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ.

რას ურჩევს უფლებადამცველი ხელისუფლებას და რა პირობა დადო მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა არასამთავრობოებთან შეხვერდაზე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელ დავით ლილუაშვილთან.

***— ბატონო დავით, ფაქტია, ივანიშვილის ხელისუფლებაც ვერ ასცდა მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს, თუმცა სააკაშვილის უმრავლესობისგან განსხვავებით, დღეს ხალხი სხვა მოტივით გამოდის. თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ახალმა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის პროცესის იმ რანგში წარმართვა, რომ უფლებაშელახულებს დღეს საკუთარი პროტესტი ამ სიმწვავით არ დაეფიქსირებინათ?***

— ბოლო პერიოდში ორი მასშტაბური აქცია იყო: 1 მაისს — სტუდენტ-ახალგაზრდობის გამოსვლა შრომის კოდექსთან დაკავშირებით, რომლის დროსაც პოლიციამ ძალას გადაამეტა და 17 მაისს, როცა საზოგადოება და სასულიერო პირები გამოვიდნენ გარყვნილების პროპაგანდის წინააღმდეგ. ამ დღეს პოლიცია მოიქცა სრულიად ადეკვატურად და პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება არ მომხდარა. თუმცა ახლა მასშტაბური აქციების გამართვა არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას ჰყავს არადემოკრატიული ხელისუფლება. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, მწვავედ ამ საკითხის დაყენება საზოგადოების მხრიდან, ხელისუფლების მიერ სამართლიანობის პროცესის გაჭიანურების გამოა.

ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლება იმიტომ ითრევს ფეხს, რომ ევროპიდან სააკაშვილის ლობისტები, ახალ ხელისუფლებას თავს ახვევენ თანამშრომლობას, ისეთ კრიმინალურ გაერთიანებასთან, როგორიცაა „ნაციონალური მოძრაობა“.

მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ან უნდა აირჩიოს ქვეყნის გარედან თავსმოხვეული დაკვეთა კოჰაბიტაციაზე, ანდა შეასრულოს საკუთარი საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნა, სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებასთან დაკავშირებით.

***— რამდენად სერიოზული მასშტაბის იყო სპორტის სასახლის შეკრება და მოუწევს თუ არა საპარლამენტო უმრავლესობას სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგის ქვეშ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა?***

— ხალხით გავსებული სპორტის სასახლე და სამოქალაქო საზოგადოების მიერ მწვავედ დაყენებული საკითხები სამართლიანობის აღდგენასთან და სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებასთან დაკავშირებით, დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელი გარემოება უნდა იყოს ამ პრობლემასთან არაადეკვატურ პოზიციაში მყოფი ხელისუფლებისთვის.

სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლება უსმენს არა საკუთარი ხალხის მოთხოვნებს, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციებს. ასეთ დროს ხალხს ეძლევა ლეგიტიმური უფლება, პასუხი მოსთხოვოს ხელისუფლებას და იძულებული გახადოს ის, დაჰყვეს ერის ნებას.

***— ხალხი ნაციონალური მოძრაობის გასამართლებას ითხოვს და პარლამენტის მხრიდან სააკაშვილის რეჟიმის სამართლებრივ შეფასებას. რატომ არ გააკეთა ეს პარლამენტმა საკუთარი ნებით? ეს კოჰაბიტაციის პროცესის ბრალია თუ ივანიშვილი გარკვეულ დათმობებზე მიდის?***

— ხალხისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, რა მიზეზით არ ხდება დამნაშავე რეჟიმის გასამართლება, ხალხს ხელისუფლებისგან განსხვავებით არ აქვს მოკლე მეხსიერება. ის, რომ ქვეყანაში სამართლიანობა უნდა აღდგენილიყო და სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი გასამართლებულიყო, ამას 1 ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ ლიდერები საჯაროდ გვპირდებოდნენ, მაგრამ მერე ან დაავიწყდათ ეს ყველაფერი, ან ევროპისა და ამერიკის ზეწოლის შედეგად შეიცვალეს პოზიციები.

***— ყოფილი პოლიტპატიმრები პროკურატურიდან იმ პროკურორების გაშვებას და დასჯას მოითხოვენ, რომლებმაც მათი საქმეები შეკერეს და უკანონო პატიმრებად აქციეს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არჩილ კბილაშვილის მხრიდან იქნება იმის დასტური, რომ ახალი ხელისუფლება ძველთან ალიანსშია?***

— როცა პირველად მოხდა კბილაშვილის შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მაშინ მან განგვიმარტა, რომ პროკურატურის სისტემაში არის საკადრო დეფიციტი და გარკვეული დრო დასჭირდებოდა მას ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მან პირობა დადო, რომ სისტემაში აღარ იქნებოდნენ ჯალათი პროკურორები.

მე მინდა შევეკითხო ბატონ კბილაშვილს: რით ველარ დამთავრდა პროკურატურაში საკადრო ცვლილებების პროცესი? რატომ რჩებიან თანამდებობაზე თავის დროზე რეჟიმის სამსახურში მყოფი პროკურორები? ამასთან, საინტერესოა, პროკურატურაშიც კოჰაბიტაციის პროცესი ხომ არ მიმდინარეობს?!

***— როგორ ფიქრობთ, სამართლიანიობის აღდგენის მოთხოვნით შექმნილი მოძრაობა საბოლოოდ დასვამს სააკაშვილის რეჟიმს საბრალდებო სკამზე?***

— ეს ახლად ჩამოყალიბებული მოძრაობისა და მთლიანად საზოგადოების ძალისხმევაზე და პრინციპულობაზეა დამოკიდებული. აუცილებლად უნდა ხდებოდეს ხელისუფლებაზე მუდმივად სერიოზული პრესინგი, ვინაიდან სწორედ ხელისუფლების ხელშია ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორიცაა პროკურატურა და სასამართლო. სწორედ ამ ინსტიტუტებმა უნდა განახორციელონ მართლმსაჯულება და აღადგინონ სამართლიანობა.



***— როგორც უფლებადამცველი, რას იტყვით 17 მაისის აქციაზე და რამდენად სამართლიანია, როცა უფლებადამცველები სასულიერი პირების აგრესიაზე და მათ პასუხისგებაში მიცემაზე საუბრობენ?***

— მინდა ცალსახად განვაცხადო, რომ საქართველოში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების უფლებებს არავინ არ ზღუდავს. აზრის გამოხატვის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, მაგრამ უზნეობისა და გარყვნილების პროპაგანდის — არა.

17 მაისის აქციაზე რომ არ ყოფილიყვნენ სასულიერო პირები, კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ასევე უდავოდ მნიშვნელოვნად პოზიტიური როლი შეასრულა ამ დღეს პოლიციამ.

სასულიერო პირებისა და პოლიციელების ერთობლივი ძალისხმევით არ დადგა ის შედეგი, რაზეც იყო გათვლილი „ლგბდ“-ს მიერ დაგეგმილი პროვოკაცია. რომელი უფლებადამცველები ლაპარაკობენ სასულიერო პირების პასუხისგებაში მიცემაზე?! ისინი, ვინც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის აპოლიგეტები იყვნენ ან პოლიტიკური რეპრესიების დროს ეძინათ და ხმას არ იღებდნენ?!

ჭკუით იყვნენ ვითომ უფლებადამცველები და თავი დაანებონ ამ პროვოკატორებმა დედაეკლესიისა და მღვდელმსახურების დისკრედიტაციას. ისინი დიდი ხნის მანძილზე ცდილობენ ამას, მაგრამ ეს მათ არ გამოუვათ!

***— ვის ინტერესებში იყო ჰომოფობიის დღეს ამ აქციის გამართვა რუსთაველზე და რატომ ფიქრობს საზოგადოების ნაწილი, რომ ეს აქცია ნაციონალების მიერ იყო პროვოცირებული და სერიოზული გრანტების მოზიდვას ემსახურებოდა?***

— „ლგბდ“-ს აქცია შედიოდა სააკაშვილისა და მისი კლანის ინტერესებში. მათ კარგად იცოდნენ, სექსუალური უმცირესობის მიერ განხორციელებული აგიტაცია და პროპაგანდა გარყვნილების შესახებ მიუღებელი იქნებოდა საზოგადოების უმრავლესობისთვის, სექსუალური უმცირესობაც სწორედ ამიტომ წავიდა მსგავს პროვოკაციაზე. ნაციონალებმა „ლგბდ“-ს გამოყენებით, ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოებას დაანახვეს, რომ ქვეყანაში ვითომ არსებობს სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები; და მეორეს მხრივ, აჩვენეს, რომ ახალ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, გაუმკლავდეს ამ პრობლემებს.

დაფინანსებასთან დაკავშირებით ასეთი აზრი იმიტომ მუსირებს, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს მხარს უჭერს ფულზე დაგეშილი „თავისუფლების ინსტიტუტი“ და „იდენტობა“, ხოლო ლობირებას უწევს უშიშროების საბჭოს მდივანი ბოკერია და მისი მეუღლე ჩერგოლეიშვილი. „ნაციონალებსა და მათ სატელიტებს ამ საკითხის დრამატიზება სჭირდებათ ფინანსების მოზიდვის მიზნით და რაც მთავარია, ეროვნული ღირებულებების დასანგრევად, ასევე ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის.

***— დაბოლოს, ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. როგორ ფიქრობთ, რა ტიპის ნაბიჯებს უნდა ველოდოთ ნაციონალების და კონკრეტულად „თავისუფლების ინსტიტუტის“ მხრიდან, რომლებსაც პრეზიდენტის პოსტის დათმობა არ სურთ? ბევრი ფიქრობს, რომ მათ არაფრისგან 8 თებერვალი შექმნეს და მსოფლიო მასშტაბის ნიუსი. ივანიშვილის ხელისუფლების ძალადობრივ ძალად და ანტიდემოკრატიულ მმართველობად წარმოჩენა გაგრძელდება?***

— „თავისუფლების ინსტიტუტს“ და სხვა ფსევდოუფლებადამცველ ორგანიზაციებს, რა თქმა უნდა, აქვთ ანტისახელმწიფოებრივი და რევანშისტული მიზნები. მათ კვლავ უნდათ, ქვეყანაში დაბრუნდეს „ნაციონალების“ დიქტატი. ისინი ამისთვის ყველაფერზე წავლენ, რადგან „ნაცების“ ფრთებქვეშ ყოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს.

„ნაციონალებს“ რომ ნამდვილად აქვთ მცდელობა, საერთაშორისო საზოგადოების თვალში ივანიშვილის მთავრობა ანტიდემოკრატიულ ხელისუფლებად წარმოაჩინონ, ამის ნათელი მაგალითია 8 თებერვალსა და 17 მაისს მათ მიერ დაგეგმილი პროვოკაცია და შემდეგ ტყუილების ტირაჟირება, რომელიც სწორედ საგარეო მოხმარებისთვის გამოიყენეს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ამით არ დამთავრდება და საპრეზიდენტო არჩევნებამდე „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტ ორგანიზაციებს კვლავ ექნებათ მცდელობა, დაგეგმონ და განახორციელონ ახალი პროვოკაციები, რომ ახალი ხელისუფლება უხერხულ ან თავის მართლების მდგომარეობაში ჩააყენონ. ამ ყველაფრიდან არსებობს ერთადერთი გამოსავალი — ახალმა ხელისუფლებამ უნდა შეისმინოს ერის დაკვეთა, დაიწყოს სამართლიანობის აღდგენის პროცესი და რეჟიმის გასამართლება!

# გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ ხალხის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა“

შორენა გონგლაძე

უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენლის გედევან ფოფხაძის განცხადებით, საზოგადოების ნაწილში არის განწყობა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ მცირე პერიოდში ხალხის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. მისი თქმით, პირველ რიგში საზოგადოება მოელოდა სამართლიანობის აღდგენას, რაც ვერ შესრულდა.

როგორც ფოფხაძემ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინ სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე ის ამ ხალხის მოსასმენად მივიდა.

— სპორტის სასახლეში პოლიტპატიმართა ყრილობაზე ვიყავი იმიტომ, რომ მომესმინა ამ ხალხისთვის. მიმაჩნია, რომ ეს ღონისძიება იყო საინტერესო. არის დამოკიდებულება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იმ დროში, რაც ჰქონდა, ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ შეძლო. ამიტომაც გაწბილების მომენტი არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ როგორც არ უნდა გვემოქმედა, ვიღაცას უკმაყოფილების გრძნობა მაინც ექნებოდა. ბევრი პირი არ არის პასუხისგებაში მისაცემი და მათ მიმართ სახელმწიფომ ვერ გამოიჩინა ის ინიციატივა, რაც უნდა გამოეჩინა. მე მირჩევნია ახალაია გამოუშვან ციხიდან თუ მის მიმართ არ არის მტკიცებულებები, ვიდრე შეყარონ ყველა ის ხალხი, რომელიც ჩვენ ამდენი ხნის მანძილზე გვალიზიანებდა“, — აცხადებს ფოფხაძე.

# „სააკაშვილის რეჟიმმა ხალხი რომ დახოცა, მაშინ რატომ არ გამოგზავნეთ საპროტესტო ნოტა“

შორენა გონგლაძე

ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი და ევრაზიის ინსტიტუტი ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ეხმაურება 17 მაისს თბილისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ჰოლანდიის საელჩოსთან გუშინ საპროტესტო აქცია 15-მდე ადამიანმა ჩაატარა. „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ ორგანიზებით გამართულ აქციაზე გააპროტესტეს 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება და საქართველოს ელჩის ახსნა-განმარტებებისთვის დაბარება.

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და არც ერთი ქვეყნის ხელისუფლებას არ აქვს მორალური და იურიდიული უფლება მის შიდა საქმეებში ჩაერიოს.

პლაკატებით — არა იდეოლოგიურ ოკუპაციას — აქციის მონაწილეებმა მოუწოდეს ჰოლანდიის სახელმწიფოს, პატივი სცეს ქართველი ხალხის ღირებულებებს, ადათ-წესებს, მრწამსსა და ტრადიციას.

„ჩვენც ვგმობთ ძალადობას, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა მაქსიმუმი იმისთვის, რომ ყველა მხარის უფლებები ყოფილიყო დაცული. ახლა ჩვენ ისინი გვთხოვენ შევეგუოთ სექსუალური უმცირესობების პროპაგანდას, რაც ყოვლად დაუშვებელია, — ამბობს აქციის მონაწილე შოთა აფხაიძე.

მისივე თქმით, 17 მაისის სცენარი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გუნდის, კერძოდ კი, უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიასა და ლობისტების მიერ იყო მოფიქრებული, რადგან არეულობების შემდეგ მსოფლიოში საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაცია მომხდარიყო და ესაუბრათ, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო აქციის მონაწილეების უსაფრთხოების დაცვა.

— დასავლური დიპლომატიური კორპუსი ისე აკეთებს განცხადებებს, რომ არ იკვლევს მოვლენებს. მე მინდა მათ მოვუწოდო, სად იყვნენ 2006 წელს, როდესაც ციხეებში ადამიანებს კლავდნენ, როცა ეკლესიებს არბევდნენ, სად იყვნენ ისინი 2007 წლის 7 ნოემბერს, სად იყვნენ, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს ჩახოცა ხალხი ცხინვალში, ან 26 მაისს, როდესაც სააკაშვილმა დაარბია ძალადობრივი გზით აქცია და მიცვალებულები სახურავზე შემოდო? რატომ მაშინ ვერ ვნახეთ ასეთი საპროტესტო ნოტა?! — აცხადებს აფხაიძე.

აქციის მონაწილეებმა საელჩოს წინ ტიტებიც გაშალეს. მათი თქმით, ისინი პატივს სცემენ ჰოლანდიის სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს, ტიტას და იმავესკენ მოუწოდებენ მათაც.

— ჩვენ აღშფოთებას გამოვთქვამთ იმ ფაქტის მიმართ, რომ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო დიდაქტიკური ტონით გამოეხმაურა 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს და საქართველოს ელჩი ჰოლანდიაში ახსნა-განმარტებისთვის დაიბარა. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და არც ერთი ქვეყნის ხელისუფლებას არ აქვს მორალური და იურიდიული უფლება იმისა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩარევა მოახდინოს, მით უმეტეს, ისეთი საკითხის გარშემო, როგორიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა.

საქართველოს და ქართველ საზოგადოებას, ჰოლანდიელებისგან განსხვავებით, აქვს სხვა ღირებულებები და ფასეულობათა სისტემა. ამიტომ ყველა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ქართველი ხალხის ადათწესებს, ტრადიციებს და მრწამსს, რომელიც ვერასდროს ვერ იქნება კონფორმისტულად განწყობილი გარყვნილების პროპაგანდასთან. ჰოლანდიის მთავრობის მსგავსი განცხადება ნამდვილად არ ჯდება პლურალიზმის და ტოლერანტობის ჩარჩოებში, არამედ წააგავს იდეოლოგიური ოკუპაციის ძალადობრივი გზით განხორციელებას, — აცხადებენ აქციის მონაწილეები.

ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბმა და ევრაზიის ინსტიტუტმა ერთობლივი განცხადება 17 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ::

— 17 მაისი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ პროვოკაციას, მიმართულს ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. კერძოდ, ეგრეთ წოდებული გეიაღლუმი რომ ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნებოდა, თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა. გამომდინარე აქედან, მოსალოდნელი იყო ხალხის დიდი მასის გამოსვლა ამ ეგრეთ წოდებული აღლუმის აღსაკვეთად. ასევე მოსალოდნელი იყო ისიც, რომ პოლიცია ვერ გაუმკლავდებოდა და ვერ შეაკავებდა ხალხის მოზღვავებულ ნაკადს და ვერ უზრუნველყოფდა ე.წ. გეიაღლუმის სრულ უსაფრთხოებას.

შესაბამისად, თბილისში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას. ეს ფაქტი ხელისუფლების მოწინააღმდეგე ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოიყენება იმის დამადასტურებელ არგუმენტად, რომ მთავრობა უძლურია, ქვეყანაში უზრუნველყოს წესრიგი და უსაფრთხოება. ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ საქმე გვაქვს არა რაიმე სახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნებთან, არამედ უზნეობის პროპაგანდის მცდელობასთან. შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებები დემაგოგიურია და მიზნად ისახავს არა სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას, არამედ ახალი ხელისუფლების ვითომდა უუნარობის წარმოჩენას. ნაციონალური მოძრაობის და მათი დასავლელი ლობისტების მიზანია, სექსუალური უმცირესობების პროვოკატორთა ჯგუფის დახმარებით და მათი გამოყენებით ქვეყანაში პოლიტიკური არეულობების დათესვა.

მაგრამ გამოვხატავთ ჩვენს რწმენას, რომ ნაციონალური მოძრაობის, მათი დასავლელი ლობისტების და „ლგბტ“ საზოგადოების ალიანსი მიზანს ვერ მიაღწევს. მეტიც, ქართველი საზოგადოების დღევანდელი პროტესტი გადაიქცა არა მხოლოდ უზნეობის, არამედ მთლიანად დასავლეთის იდეოლოგიური ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ საერთო-სახალხო გამოსვლად. ამას მოწმობს სახალხო დემონსტრაციაზე გაჟღერებული მოთხოვნები ნატოში არშესვლის თაობაზე და შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებლის „გულთბილი“ დახვედრა, — ნათქვამია განცხადებაში.

# სოსო ცისკარიშვილი: „პოლიციამ გეიაღლუმის ორგანიზატორებს გეგმები ჩაუშალა“

## ვის აწყობდა ქვეყანაში არეულობა

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

*— 17 მაისის აქციას როგორ შეაფასებდით, რა იყო ეს?*

— ეს იყო მრავალკომპონენტიანი გამოწვევა და, რასაკვირველია, ფინალი გახლდათ, უპირველეს ყოვლისა, დამაზიანებელი როგორც სახელმწიფოს იმიჯის, ასევე ამ პროცესში ჩართული ინსტიტუციების, თუმცა სხვადასხვა ხარისხით. ჩემი აზრით, მკაფიოა, რომ ქართული საზოგადოების განათლების დონე არის დასაფიქრებელი და შემდგომ დამოკიდებულება უმცირესობათა მიმართ, არის სერიოზულად გადასახედი. ამასთანავე, ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ის უმცირესობა, რომელიც აპირებდა აქციების ჩატარებას 17 მაისს, საკმაოდ პროვოკაციული სცენარის მომხრე იყო, როგორც ჩანს. სხვა მხრივ, მათ მიერ შერჩეული ადგილი საკუთარი ხედვების გამოსაფენად, ნამდვილად გადაიხედებოდა და მოიძებნებოდა მათთვის უფრო მშვიდი გარემო. როგორც ჩანს, სიმშვიდე არ იყო მიზანი ამ აქციების ავტორის და ვის ინტერესებში შედის, ერთდროულად სახელმწიფოც, ეკლესიაც და საქართველოს მოსახლეობაც წარმოდგენილ იქნა საკმაოდ, რბილად რომ ვთქვათ, არამიმზიდველი ფორმით მსოფლიოს წინაშე, მე მგონი დიდი სჯა-ბაასი და მკითხაობა ამ თემას არ სჭირდება. კმაყოფილი და გამარჯვებული დარჩა მხოლოდ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ერთადერთი კომპონენტია შარშანდელისგან განსხვავებით. შარშანაც ანალოგიური სიტუაციისას ორმა-სამმა კაცმა ხელი მოიქნია ქუჩაში, წელს მასშტაბი იყო ძალიან დამაფიქრებელი. თუმცა არაფერი შეცვლილა დამოკიდებულებაში ასეთი აქციების მიმართ, არაფერი შეცვლილა არც იმ ადამიანების ხედვაში, ვისაც სურდა საკუთარი თავი დაეფიქსირებინა ამ აქციის მონაწილედ, შეიცვალა ერთადერთი რამ — ხელისუფლება. როდესაც ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება არის მხოლოდ ლოზუნგი, ხოლო ფაქტი კი სრულიად მკაფიო ორხელისუფლებიანობაა, ამიტომ სავარძლებგამოცლილი ხელისუფლება, რომელიც სრულიად აშკარად, ძალიან ხმამაღლა დასტირის საკუთარ სავარძლებს და ცდილობს, რომ არ შეიმჩნიოს ის განაჩენი, რაც მას ქართულმა საზოგადოებამ შარშან ოქტომბერში გამოუტანა, რასაკვირველია, მოტივირებული იქნებოდა იმ შედეგისთვის, რომელიც დადგა. თუ გადავხედავთ თუნდაც პრესის ფურცლებს, საქართველოში და საზღვარგარეთ სხვადასხვა კუთხით ფასდება სიტუაცია. მაშინ, როდესაც გაკვირვებული სამყარო დასავლეთისა, საუბრობს ჰომოფობიაზე, რომელიც თურმე მეფობს ქვეყანაში, ქართულ პრესაში იშიფრება სქემები, თუ როგორ, რა გზებით და რა მასშტაბით ხდებოდა უშიშროების სამსახურის მიერ ძალადობა სამღვდელოების ცალკეულ წარმომადგენლებზე.

*— თქვენთვისაც ცნობილია რამე ამ სქემების შესახებ?*

— ვერ გეტყვით, რომ ეს მოულოდნელი სქემებია. ჩემთვის კარგა ხანია ცნობილია ფაქტები, რომ ზოგიერთი მღვდელმსახური საკუთარ თანამშრომლობას ზურაბ ადეიშვილის პროკურატურასთან არ მალავდა და როდესაც საქმე მიდგებოდა პატიმრის მიმართ ზეწოლაზე, რომ გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება პროკურატურასთან, ძალიან აქტიურად აი ასეთი რჯულის ადამიანები, ღვთის სახელით არწმუნებდნენ პატიმარს, რომ აუცილებელია ამ დოკუმენტის ხელმოწერა, რაც დიდი ხანია იწვევდა ადვოკატების აღშფოთებას. ძალიან არ მინდა დავიჯერო, რომ ორხელისუფლებიანობა არის არა მხოლოდ ხელისუფლებაში, არამედ რომელიმე რელიგიურ ინსტიტუტშიც.



*— თუმცა, გამოდის, რომ ასეა...*

— იცით, ის რასაც ვერ ახერხებს სახელმწიფო, ამის მოთხოვნა ეკლესიისგან იქნებოდა არცთუ ზნეობრივი ნაბიჯი და დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია უსათუოდ გააკეთებს შესაბამის რეაგირებას იმ მოვლენებზე, რასაც ადგილი ჰქონდა 17 მაისს.

*— შეგვიძლია იმის თქმა, რომ ის სასულიერო პირები, რომლებიც აგრესიულობით გამოირჩეოდნენ, ყოფილმა ხელისუფლებამ დააშანტაჟა და ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი?*

— მე მქონდა ურთიერთობა წინა დღეებში საპატრიარქოს წარმომადგენლებთან, რომლებსაც უნდოდათ, რომ განემარტათ საზოგადოებისთვის საკუთარი აქციის დანიშნულება და ფორმატი. მე ვერაფერს ამისთანას ვერ წარმოვიდგენდი, რადგან ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც სრულიად მშვიდობიანი, ცივილიზებული აქციის ჩატარება სურდათ, ყოველგვარი გამოსვლების გარეშე, ყოველგვარი ინციდენტის გარეშე. ამ გუნდში იყო ოცამდე მღვდელმსახური, რომელიც თავის თავზე იღებდა ვალდებულებას, რომ ამგვარი არაფერი მომხდარიყო. ეჭვი შემეპარა უბრალოდ შესაძლებლობაში ამ ადამიანებისა, გამომდინარე ხალხის რაოდენობიდან, რომელიც იქ მივიდა. ძნელად წარმომიდგენია, რომ რომელიმე მათგანს მოეწვია ამ აქციაზე თინეიჯერები, რომლებიც იქ მივიდნენ და არ მალავდნენ, რომ მათ სისხლი სწყუროდათ. ეს გამოვლინდა არა მხოლოდ აქციაზე უშუალოდ, არამედ მისი დარბევის შემდეგაც, უკვე, როდესაც ბრბო გარს შემოერტყა საქართველოს სახალხო დამცველს და ისმოდა შეძახილები — ამის სისხლი უნდა დავლიოთ, მოდი ეს მოვკლათ — ამას ყვიროდნენ 14-17 წლის ახალგაზრდები, რომლებიც არ ვარ დარწმუნებული, რომ ნამყოფი არიან ეკლესიაში. ამდენად, იგეგმებოდა საპატრიარქოს მხრიდან სრულიად სხვა ღონისძიება და სინამდვილეში აღმოვჩნდით უკიდურესად საწინააღმდეგო ვითარებაში. როდესაც ერთ-ერთი აქტიური წინამძღოლი ამ მსვლელობის იყო ცნობილი მოხელე, რომელსაც საერთო აღარაფერი აქვს საპატრიარქოსთან, რომელმაც მსგავსი ძალადობებისთვის წლები გაატარა ციხეში, რასაკვირველია, მის მიმართ ნდობა არც ახლა იყო მაღალი. ციხეში ნაჯდომი ადამიანის მართვა რომ უფრო ეადვილება მერაბიშვილ-ადეიშვილის პატიმარს, მოდით ამაზე ნუ ვიკამათებთ. გავიხსენოთ თუნდაც ის მიმართვა, რომელიც საპატრიარქომ სხვა ათამდე რელიგიურ მიმდევრობასთან ერთად ამ აქციამდე ორიოდე დღით ადრე განცხადების სახით გამოაქვეყნა. ეს იყო აბსოლუტურად დამაჯერებელი და მკაფიოდ საგნობრივი განცხადება. რაიმე ეჭვის შემთხვევაში, ცხადია, ამდენი რელიგიური მიმდინარეობა საკუთარ ხელმოწერას არ გააკეთებდა ამ დოკუმენტზე. ეს გახლდათ სწორედ ქართული საზოგადოების აზრის გამოხატვაც და სრულიად მკაფიო დასტური პატივისცემისა, ნებისმიერი უმცირესობის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს კეთილშობილური მცდელობა, წინასწარ ყოფილიყო განმუხტული მეტ-ნაკლებად სიტუაცია, იყო უკუგდებული დიდი ალბათობით იმ ანაფორიანი ხალხის მიერ, რომლებიც ალბათ კარგა ხანია აღარ უნდა ყოფილიყვნენ ამ სამოსის ტარების ღირსნი.

*— ბატონო სოსო, თავიდანვე კეთდებოდა განცხადებები, რომ ისეთი ადგილი შეირჩა ამ აქციისათვის, რომ ამ ყველაფერში თავიდანვე იდო პროვოკაციის მარცვალი. რამდენად შეეძლო ამჟამინდელ ხელისუფლებას ან უარი ეთქვა, ან ადგილი შეეცვალა აქციის ორგანიზატორებისთვის. რაღაც ზომები მიეღო, რომ ეს არ მომხდარიყო. იყო ამის საშუალება?*

— ამის საშუალებას არ იძლეოდა, უპირველეს ყოვლისა, არსებული კანონმდებლობა. სადაც ნებართვა რაიმე ტიპის აქციებზე არ გაიცემა, იმართება მხოლოდ შეტყობინების საფუძველზე და ადრესატი ასეთი მიმართვის გახლავთ თბილისის მერია. მოგეხსენებათ, რა სიყვარული ამოძრავებს დღევანდელ მერიას ქვეყნის ხელისუფლების მიმართ, ამიტომ, ცხადია, ამ თემაზე სერიოზული საუბარი არ მომხდარა. თუნდაც რაღაც ფორმალური შეხვედრა წინა დღეებში, ჩემის აზრით, იყო მერიის მხრიდან წინსწრებად პრევენციული ნაბიჯი და ამით ისინი, რასაკვირველია, ცდილობდნენ მოეხსნათ პასუხისმგებლობა შედეგებზე. ჩემი აზრით, ადგილები, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ისტორიაში, უნდა იყოს მკაფიოთ დაცული პროვოკაციული ქმედებებისგან, ამა თუ იმ ადამიანთა დაჯგუფებების თუ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხრიდან. ეს 9 აპრილის წმინდა სისხლით მორწყული მიდამო, არ უნდა გამოიყენებოდეს სხვადასხვა ტიპის ბოროტი ზრახვისათვის და საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებისა და უპატივცემულობის გამოსახატავად. სხვა შემთხვევაში ანალოგიური პროვოკაციები შეიძლება გაგრძელდეს. თუმცა ვიმეორებ, ჩვენს საზოგადოებას აკლია განათლება და, შესაბამისად, აღქმა იმისა, რომელ სამყაროში ვცხოვრობთ, რომელი საუკუნეა და აზრის გამოთქმის თავისუფლების მიმართ დამოკიდებულება რა ქმედებებით შეიძლება იყოს წარმოჩენილი. ვერ გავამართლებ ამ აქციის დამგეგმავებს, მათ შესანიშნავად უწყოდნენ, რომ შედეგი იქნებოდა ასეთი. არ გამოვრიცხავ, რომ ვინმეს კიდევ უფრო უარესი შედეგი ნდომოდა, რომ კიდევ უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო კრიტიკა დღევანდელი ქართული საზოგადოებისა და დღევანდელი ხელისუფლების საზღვარგარეთიდან. მიუხედავად ამისა, რასაკვირველია, საზოგადოება შეძრწუნებულია ფინალით. ასეთი კაცთმოძულება ახალგაზრდების, ძველგაზრდების, როგორც ჩანს, დაგროვილია და ეძებს ადრესატს. ამ შემთხვევაში მათ მიერ შერჩეული ადრესატი, საზოგადოების ნაწილისთვის თითქოს მისაღებია, უმრავლესობისთვის მიუღებელია და საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ასეთი უმართავი ძალა თინეიჯერებისა არსებობს და მათი წაქეზება რაიმე უგვანობაზე შესაძლებელია. ამიტომ ეს გაკვეთილი უნდა გაიაზროს საზოგადოებამაც, ხელისუფლებამაც და იმ შესაძლო ბოროტმზრახველებმაც, ვისაც რაიმე ინტერესი შეიძლება გააჩნდეს ასეთი ჯგუფების სამართავად.

*— ბატონო სოსო, რაც შეეხება პოლიციის ქმედებას, აქაც გაიყო საზოგადოების აზრი. იყო კრიტიკა, რომ უფრო სხვაგვარად უნდა ემოქმედა პოლიციას. რა უნდა გაეკეთებინა? უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც ვანო მერაბიშვილის პოლიცია მოიქცა 26 მაისს?*

— რასაკვირველია, არა. მე დაახლოებით ერთი საათი გავატარე ამ აქციაზე. თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე ვაკვირდებოდი პროცესებს, მქონდა კონტაქტი პოლიციელებთანაც. იმდენად რთული აღმოჩნდა, როგორც ჩანს, თავად ტერიტორიალური გათვლები ამ აქციის შესაძლო გაგრძელების, რომ ლოგიკაში არ ჯდებოდა, ეს ზღუდეები რატომ იყო ორივე მიმართულებით მოძრავი ადამიანებისთვის. ანუ ვინც დარჩა ამ ზღუდისგან მარცხნივ, რჩებოდა იქ, ვინც დარჩა ამ ზღუდისგან მარჯვნივ, ისიც რჩებოდა იქ. ელემენტარულად ადამიანი, რომელიც საერთოდ არ გამოხატავდა ინტერესს ამ აქციის მიმართ, აღმოჩნდა ან ერთ მხარეს, ან მეორე მხარეს დაკავებული. უფრო გვიან კი გახდა ეს ლოგიკა გასაგები, როდესაც პუშკინის სკვერისკენ გადაინაცვლა ამ აგრესიამ, მაგრამ რასაკვირველია, თუკი ვინმეს შეუძლია რაიმე კრიტიკული აზრის გამოთქმა პოლიციის მისამართით, ნებისმიერ შემთხვევაში ხმა არ ამოელება წინა ხელისუფლების წევრებს და მათ აპოგელეტებს. რადგან მათ, დიახ, სურდათ, რომ დაენახათ სხვადასხვა საშუალებებით შეიარაღებული პოლიცია, რომელიც ძალადობას არ ერიდება საჯაროდ, საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ. ეს ოცნება ვერ აუსრულდა ამ ვერაგული აქციის დამგეგმავთ და ამაში ვრწმუნდებით შედეგებით. თუმცა მეტი ყურადღება უნდა ყოფილიყო გამოჩენილი თუნდაც იმ მცირერიცხოვანი ჯგუფის მიმართ, რომელიც ვერ გადაურჩა დაზიანებას თავდამსხმელებისგან. რასაკვირველია, ეს იყო გარკვეული ნაკლი პოლიციისა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიცია იყო ყველაზე წარმატებული იმ ინსტიტუციათა შორის, რომელიც გეგმავდა და მონაწილეობდა ამ ერთ და მეორე აქციაში. ქართულმა პოლიციამ, რაც მთავარია, შეინარჩუნა ის სახე, როგორითაც ის წარმოგვიდგა ჩვენ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში. ანუ ეს არის კაცთმოყვარეობაზე და არა მისი წინამორბედი პოლიციისავით კაცთმოძულეობაზე დამყარებული ძალა. თვითონ საუბრის ტონი, ამ დაცვაში მდგომი ადამიანებისა, იყო სრულიად ბუნებრივი და არანაირი უხეშობა მათი მხრიდან, თუნდაც მათ მიმართ, ვინც კითხვებს სვამდა, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ვერ გადაადგილდებოდა აქეთ თუ იქით, ეს ყველაფერი გვარწმუნებს, რომ კლასი პოლიციისა მატულობს. ეს შეიძლება აღმოჩნდეს ერთადერთი პოზიტიური რამ სამომავლოდ იმ აქციიდან გამომდინარე, რისი მომსწრენიც ვიყავით 17 მაისს.

*— ამ გეიაღლუმის აქციის ორგანიზატორების მხრიდან რამდენად იქნა მიღწეული მიზანი იმისა, რომ შელახულიყო ჩვენი ქვეყნის და ჩვენი საზოგადოების რეპუტაცია დასავლეთის თვალში?*

— მოდით ვთქვათ, რომ ეს მიზანი მიღწეულია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ მათი მიზანი უფრო დიდი იყო, რისი მიღწევაც მათ ვერ შეძლეს და, როგორც ჩანს, სწორედ პოლიციის იმ ქმედებების გამო, რასაც ადგილი ჰქონდა ქუჩაში და შესაბამისი კადრები, რასაც ამ აქციის დამგეგმავები ელოდნენ, რეალობაში არ შედგა.

# „ჩვენი საზოგადოებით მანიპულირება ძალიან იოლია“

მერი ნამორაძე

### ინტერვიუ ფსიქოლოგ მაია ცირამუასთან

*— ქალბატონო მაია, 17 მაისს ჩვენ ვიხილეთ ერთმანეთთან დაპირისპირებული საზოგადოების ორი მხარე, როცა ორივე ნაწილს საკუთარი პოზიცია შეუმცდარი ჰგონია. რამდენად საშიშია საზოგადოებისათვის ასეთი დაპირისპირება?*

— გეთანხმებით, რომ ჩვენ ვნახეთ საზოგადოების ორი მხარე, რაც არ არის უჩვეულო ჩვენთვის. ნებისმიერ მოვლენასთან მიმართებაში, ეს იქნება პოლიტიკური საკითხი თუ სოციალური საკითხი, თუ დავაკვირდებით ბოლო წლების მოვლენებს, ხდება საზოგადოების მაქსიმალური პოლარიზება, სადაც განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ამ ორ მხარეს არ ხელეწიფება, დაინახოს მეორე მხარე, გაიაზროს, განიცადოს და ასე შემდეგ, ანუ სრული დისკომუნიკაცია არსებობს ამ ორ მხარეს შორის. აქედან გამომდინარე, ეს მგონია, ძალიან დასაფიქრებელი მდგომარეობაა ჩვენი საზოგადოებისათვის. უნდა ვიფიქროთ, როგორ გამოვიდეთ ამ პოლარიზებულობისგან.

საუკეთესო იქნებოდა, გვენახა ორივე მხარის პოზიცია, რაც აბსოლუტურად ნორმალურია ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისათვის, ანუ ერთ მხარეს ყოფილიყო ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია და მეორე მხარეს — მათი მოწინააღმდეგეების აქცია, მათ შორის მდგარიყო პოლიცია, გნებავთ, სასულიერო პირები და დაეცვათ ეს ორი მხარე შეხლა-შემოხლისგან და არ ყოფილიყო დაპირისპირება, ღირსების შელახვა. ღირსების შელახვა კი არა, ლამის სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდა ყველაფერი.

რატომ მოხდა ასეთი ძლიერი დაპირისპირება? ძალიან კარგად ვიცით, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანა ჩვენმა საზოგადოებამ. ჩვენ ფაქტიურად ტრავმირებულ საზოგადოებას წარმოვადგენთ. ბევრი სახის ტრავმა იყო ჩვენს თავზე, სამოქალაქო ომი, რევოლუციები, ასე შემდგომ. აქედან გამომდინარე, აგრესიის მუხტი და მოწყვლადობა ჩვენი საზოგადოებისა არის ძალიან მაღალი. ის ძალიან სწრაფად შეიძლება გადაიქცეს უმართავ მასად. ტრავმირებულ საზოგადოებას ყოველთვის აქვს იმის რისკი, რომ ის უმართავ პროცესებში გადავიდეს. ამიტომ, ყველას, ხელისუფლებას, გნებავთ, სასულიერო პირებს ძალიან დიდი დაფიქრება და მაქსიმალური მობილიზება მართებთ იმისათვის, რომ ასეთი მოწყვლადი და ტრავმირებული საზოგადოება არ მიიყვანონ იქამდე, რაც ჩვენ ვნახეთ 17 მაისს. პირადად ჩემთვის განსაკუთრებულად დრამატულია ის, რომ ძალადობაგანცდილ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამ აქციას, მოძალადეების როლში გამოვიდნენ სასულიერო პირები, რომლებიც საზოგადოებისათვის ჩვენი სულიერების მზრუნველ მოდელებს უნდა წარმოადგენდნენ. მგონია, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. რა გამოდის, რომ ძალადობრივი ქცევა მისაღები და დეკლარირებული ქცევაა ჩვენი საზოგადოებისათვის? ბევრი კითხვა ჩნდება — შეიძლება რომ განსხვავებული პოზიციის, შეხედულებების, განსხვავებული იდენტობის ადამიანებს ასე დავუპირისპირდეთ? ეს ნიშნავს, რომ უკვე ძალიან შორს ვართ დემოკრატიისგან და თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, სწორი შეფასებები არ გაკეთდება, შესაძლებელია, ვერ გამოვიდეთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ვართ. რამდენადაც ვიცი, იმ საღამოს, ადამიანთა ჯგუფები ქუჩაში უმისამართოდ ეძებდნენ თავიანთ მსხვერპლებს, ანუ აქციის მონაწილეებს, რომ გასწორებოდნენ. სამწუხაროა, რომ ეს იყო თითქოსდა გამართლებული, ნებადართული. მგონია, რომ სერიოზულ კრიზისამდე მიიყვანს ეს საზოგადოებას, თუ ამაზე არ დავფიქრდებით, შეფასებებს არ გავაკეთებთ და თავიდან ბოლომდე არ გავაანალიზებთ ვითარებას.



*— რამდენად ხანგრძლივად შეიძლება გასტანოს აგრესიის მუხტმა საზოგადოებაში?*

— ამის პროგნოზირება არავის შეუძლია. უნდა დაიწყოს ფიქრის, ანალიზის, შეფასების პროცესი, ყველა მხარემ, რომელიც ჩართული იყო. უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა, რა არ გაკეთდა, სად მოხდა გადამეტება და ასე შემდეგ. ეს უნდა გახდეს სერიოზული ფიქრისა და ანალიზის საგანი საზოგადოების მხრიდან. ადამიანებმა უნდა დაიწყონ ფიქრი იმაზე, რომ ჭრელია სამყარო, მრავალფეროვანია და ყველა შეიძლება არ იყოს შენნაირი. უნდა შევძლოთ ჩვენ ჩვენგან განსხვავებულების მიღება, ეს იქნება ეროვნული ნიშნით, ეთნიკური ნიშნით, იდენტობით თუ ასე შემდეგ. ყველაზე სამწუხარო ფაქტი იყო ის, რომ ტრავმირებული საზოგადოების, რომელიც არის ძალიან მოწყვლადი და იოლად შეიძლება იქცეს უმართავ მასად,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ლტოლვა პოლიტიკისკენ

როლანდ ხოჯანაშვილი
,,ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

რატომ აქვთ ლტოლვა ასე განუზომლად პოლიტიკისკენ? მახსენდება კომუნისტური ეპოქის დასასრული, როცა მაშინდელი ერთადერთი პარტიიდან, სკკპ-დან, დაიძრა რენეგატთა უზარმაზარი მასა. მახსენდება, რომ ერთმა ჩემმა ნაცნობმა ,,მოასწრო“ და რომელიღაც ქალაქში პარტიული სკოლა დაამთავრა. დედა ჰყავდა ძალიან მიზანსწრაფული და კომუნისტურ ეპოქაში (მგონი ახლაც) თუ პარტიული არ იყავი, ვინ გაგაკეთებინებდა კარიერას?! მოკლედ, ამ ადამიანმა ვერ მოასწრო ხეირიანად გაკომუნისტება და უცებ გამსახურდიამ არ დააქცია ლენინურ-სტალინური ეპოქა? (ისე, ჩემი აზრით, გამსახურდიას წვლილი დიდი იყო კომუნისტური ეპოქის დემონტაჟში, მაგრამ სულ ვამბობდი: რაც არამყარია ბუნებაში, ყველაფერი ინგრევა და იშლება-მეთქი). სად წავიდოდა ესოდენ პოტენციური და ხელმოცარული ახალგამოჩეკილი პარტმუშაკი? სწრაფად გადახია პარტიის ბილეთი და ნოდარ ნათაძის ,,სახალხო ფრონტის“ ლოკალურ ავანგარდს ჩაუდგა სათავეში. ნათაძის პოლიტიკური გაერთიანება არც ისე დიდი პოპულარობით გამოირჩეოდა, რადგან ,,მრგვალმაგიდელებს“ დაუპირისპირდა. მოგეხსენებათ და ,,მრგვალი მაგიდა“ ტრიუმფალურად გამარჯვებული გახლდათ, რომელსაც ქართველებმა კინაღამ 100%-ით დაუჭირა მხარი ( მე მაშინ არასრულწლოვანი ვიყავი და საარჩევნო უფლება არ მქონდა, თორემ როგორც შემდგომში მოვხაზე ,,ნაციონალური მოძრაობა“ დიდი იმედით და ოცნებით, იმავეს ვიზამდი მაშინ). პარადოქსული ამომრჩევლები ვართ. ჯერ თითქმის ყველა ვირჩევთ ხელისუფლებას და მოკლე ხანში თითქმის ყველა ვიწყებთ მის ლანძღვა-გინებას. მერე ამ ჩემმა ნაცნობმა გამოიცვალა რამდენიმე პარტია: აღორძინება, ლეიბორისტული, მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა, არ მახსოვს რა ერქვა თორთლაძის პარტიას–ეგეც... ახლა მგონი საოცნებოდაც იმზადებს პოლიტიკურ კანისცვლას, მაგრამ ყველა შემთხვევაში რენეგატიზმს იმით ამართლებენ, რომ ჭეშმარიტების ძიებაში ვართ ან კიდევ, ჩერჩილიც რენეგატი იყო, მაგრამ არ წაადგა გაერთიანებული სამეფოს საქმეს მისი მედროვეობაო? ხალხი კარგად უნდა ხედავდეს, რომ ასეთი ტიპის ადამიანები კომფორტულ გარემოს ინარჩუნებენ პარტიიდან პარტიაში გადასკუპებით. ზედმეტმა ტოლერანტობამ დაგვღუპა ჩვენ, თორემ ახლა ნიკოფსიითგან დარუბანდამდე კი არა, როკის კონცხიდან დეჟნევის კონცხამდე ვიქნებოდით გაჭენებული და გამოჭენებული. გვავიწყდება თუ ვივიწყებთ ახლო წარსულში ჩადენილ დანაშაულს ადამიანისას, მერე მოიმედე თვალებით შევყურებთ და ფინალში ისევ მჯიღის ცემას ვიწყებთ მკერდში: ვიცოდი, ვინც არის და რამ გამაკეთებინა მასზე არჩევანიო. ერთმა დაბალი რანგის პოლიტიკურმა პირმა მითხრა, სხვა საქმეში აღარ გამოვდგები, პოლიტიკის იქით სხვა რა შემიძლიაო. მეხი დაეცეთ ასეთ პოლიტიკურ პირებს, რომ ჰგონიათ, პოლიტიკას ქმნიდნენ თითქოს. რაც ზემოდან წამოვა, მისი უსიტყვოდ შემსრულებლები არიან, სხვა რა შეუძლიათ? ფიზიკურ შრომას ტრანსპარანტების ტრიალი ურჩევნიათ, ხანდახან დედაქალაქში ან სამხარეო ცენტრში აქციებზე ჩავლენ და უკვე პოლიტიკური წონამომატებულები კისერს იღერებენ: აქციაზე ვიყავი და კარგი დრო ვატარეო. აქციების ბოლოს თითქმის ყოველთვის ჭამა-სმა დიდად შესარგი არ ავიწყდება არავის. გასაგებია, რომ უჭმელ-უსმელი ვერავინ გაძლებს, მაგრამ პოლიტიკურ საფიხვნოს თავში მსხდომთ რა ექეიფებათ? არ მახსენდება, რომ რომელიმე პარტიას ტერიტორიული მთლიანობა დაებრუნებინოს, ან რაღაც ფუნდამენტური საკითხი გადაეწყვიტოს ჩვენს გასაცოდავებულ სახელმწიფოში. ახალი გადართულები ვიყავით მრავალპარტიულობაზე და ერთმა პარტიამ უზარმაზარ ზეწარზე დააწერა ასეთი რამ: დღეს ტროლეიბუსით მგზავრობის საფასურს გადაგიხდითო. ვისაც ტროლეიბუსების მოძრაობისდროინდელი საქართველო ახსოვს, ისიც კარგად ემახსოვრება, რომ საქალაქო ტრანსპორტიდან ერთ-ერთი ყველაზე იაფი გახლდათ. თუნდაც ის ხურდა ფულიც შეღავათად ჩაითვლებოდა, რომ მგზავრობას ჰქონოდა ნორმალური სახე, რამდენიმე კილომეტრიანი მარშრუტის გავლას სამჯერ მეტი ხანი რომ მოვუნდით, მაშინ მივხვდით, უფასო ხორცს წვენი რომ არ უკეთდება. ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს, რომ მეტად პოპულარული იყოს ამომრჩევლის თვალში, მაგრამ რკინას აქვს ცვეთის ასაკი და პოლიტიკურ სახეებს რა უკვდავების მანია სჭირთ?

19 მაისს, სპორტის სასახლეში სამსაათიანი ყრილობამ აჩვენა, რომ პოლიტიკისკენ განუზომელი ლტოლვა გვაქვს ქართველებს. განსაკუთრებით სასაცილოდ ჩანდა ჩამოწერილი პოლიტიკური ძალების გაფაფხურება. იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც მართლა დატანჯა უსამართლობამ და სამართლიანობის მარადიულმა მოლოდინმა, მაგრამ ჩვენი არჩევანი ძალიან ხშირად ემსახურება ერთეულების ცხოვრების მოწყობას. როცა რაიმე სახის ძალაუფლება გქონდა (თვითმმართველობაში, სასამართლოში, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში) და ხალხს არ ახსოვს არაფერი კარგი, ახლა ისევ გალიზიანებული მასის გამოყენება შეიძლება პოლიტრეფრეშისთვის?



არაფერი მაქვს საწინააღმდეგო რელიგიურ-ეთნიკურ-სექსუალური უმცირესობების მიმართ. ოდნავ თუ სიტყვა წამოსცდა მათ საწინააღმდეგოდ ვინმეს, არასამთავრობო სექტორს ცალკე დემოკრატიული დასავლეთი აჰყვება და ნატოს ვითომც ღია კარს ცხვირწინ ისე მოგვიჯახუნებენ, ვითომც ეს ელემენტარული შეცდომა რომ არა, მაპს ან მაპზე უკეთესს თეფშზე დადებულს მოგვაწვდიდნენ. გასაგებია, რომ არასამთავრობო სექტორი იმიტომაა არასამთავრობო (ჩვენს სინამდვილეში, განსაკუთრებით), რომ ვინმე ახირებული მდიდრის იდეები უნდა გამოფინოს, სხვაგვარად ვერ მიიღებს დაფინანსებას, მაგრამ პოლიტიკურმა პარტიებმა და მითუმეტეს, ხელისუფლებამ ხომ კარგად იცის, უსამართლობა მძიმე მოსათმენია?! სადაც უმცირესობების უფლებებს იცავთ, იქ რა დააშავა უმრავლესობამ? დავაკონკრეტოთ და ვთქვათ: უმრავლესობაა ეთნიკური ქართველი, ქრისტიანი (თუნდაც, ზედაპირული), მატერიალურად გაჭირვებული, უპერსპექტივო და რატომ მათზე არავინ აფრიალებს ბაირაღებს? იმიტომ, რომ ამისთვის არავინ გამოყოფს გრანტებს. არასამთავრობო სექტორმა ხელთ იგდო ნედლი მასალა–უმცირესობები, ხოლო პარტიებმა–ხალხი.

დამერწმუნეთ, რომ უამრავი ლგბტ პირი სახლიდან არ გამოსულა 17 მაისს, მაგრამ არცერთი გრანტიჭამია არ დარჩენილა გამოუმზევებელი. 19 მაისსაც არაერთი დათრგუნული ადამიანი არ წასულა სპორტის სასახლეში, მაგრამ პოლიტიკური ამბიციის მქონე პირები პოზირებდნენ კამერების წინ. ისე, რატომ მაინცდამაინც ატელევიზორებენ პოლიტიკოსებს ტელემედიის წარმომადგენლები, სპორტის სასახლის ყრილობა უბრალო ადამიანების გარეშე არაფერი არ იქნებოდა, ეს ხომ რეალობაა?!

ერთმა ძველმა ნაცნობმა მითხრა: სპორტის სასახლეში მივდივარ, წასაკითხავი მასალა მაქვს, გადახედე, არაფერი მქონდეს შეცდომაო. თან იქვე დააყოლა, ნამდვილი ამბავია, მოგონილი არაფერი გეგონოსო. გადავხედე ნაწერს და იმდენად ორგანული იყო, რომ შესაცვლელად ვერაფერი გავიმეტე:

,,რა უნდა მოვყვე ისეთი, რაც აქ მყოფებს არ გსმენიათ? ერთი პატარა ვაჟკაცის ისტორიაა. ის თვითონ სადაა? ის ვერ მოყვება, ვერც მისი მშობლები მოყვებიან, მათ არ ეცოდინებათ ის, რისი თვითმხილველიც მე გავხდი. მისი გვარი ალბათ იმ სადისტ სისტემაში გარდაცვლილების სტატისტიკაშია, ვარდოსნობის ცხრა წლიან შემზარავ მატიანეშია, როგორც ერთ-ერთი, რიგითი მსხვერპლი. გვარ-სახელს ვერაფრით მივაგენი, მხოლოდ დღე მახსოვს დაახლოებით, 2008 წლის დეკემბრის დასაწყისი.

დაიჭირეს – არაფერზე, როგორც უამრავი იმ დროს! ნადზორებმა შეაგინეს, ძალიან მწარედ, ეხერხებოდათ იმ დროს! უპასუხა, შეაგინა, ორჯერ უფრო მწარედ!

იქვე სცემეს, ძალიან მაგრად, სისხლში აბანავეს! მესამე დღეს თავს დაადგნენ, ჩახვეული ჰქონდათ, ალბათ ისევ ის სმენა იყო! ჰა ბიჭოო, შეგამოწმოთ? ჭკუა თუ ისწავლე! შეაგინეს ისევ მწარედ. უპასუხა ხუთჯერ მწარედ, შეაფურთხა კიდეც! თორმეტმა მუტრუკმა, პატარა სულის კაცუნამ, აბანოში გაიყვანა 17 წლის სასტიკად ნაცემი ბავშვი! არა! აღარ უცემიათ! როცა მოიყვანეს, უხმოდ შევიდა ბიჭი ტუალეტში და პერანგზე თავი ჩამოიხჩო! ბეწვზე მიუსწრეს. ცოცხალ-მკვდარი საკაცეზე იწვა, ექიმის ფორმიანი სადისტები, ბადრაგის ფორმიან სადისტებთან კამათობდნენ: არ მივიღებთ, მაინც მოკვდება, რატომ უნდა დავიწეროთ „ლიშნი ტრუპიო“. ჰო, ზუსტად ასე უწოდეს, 17 წლის მომაკვდავ, ანგელოზივით ბიჭს – „ლიშნი ტრუპი“. ამ სცენის შემსწრე გავხდი შემთხვევით, ,,პერევიაზკიდან“ მოვდიოდი, ჩემს კორპუსში. ექიმებს დავუყვირე: რა გაჩხუბებთ, ბავშს მიხედეთ-მეთქი! მცემეს, გამაგდეს. ღირსებით აღსავსე სულმა უარი თქვა წაბილწულ სხეულში დაბრუნებაზე! ზუსტად ვიცი, ეპატიება ბიჭს! მას ხომ თავი არ მოუკლავს? – ის ხომ ღირსებამ მოკლა!“

ვიდრე პოლიტიკოსებს ისევ გექნებათ შეაფარული თუ შეუფარავი ამბიციები, გაგახსენდეთ, რომ თვენს პერსპექტივებზე მეტად ხალხს სამართლიანობა ხიბლავს, მაგრამ ხალხზე მეტად თქვენი მომავალი გადარდებთ... ვაკვირდები და მიკვირს, რომ პოლიტიკისკენ ლტოლვა, მგონი, უფრო ძლიერია ქართველებში, ვიდრე ლიბიდო.

# ფეროშენადნობი ქარხნის მუშები ხელფასის გაზრდას ითხოვენ

მერი ნამორაძე

გუშინ დამსაქმებლებს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშები „აუჯანყდნენ“. ფეროშენადნობ ქარხანაში დასაქმებულები მუშაობაზე უარს აცხადებდნენ. მუშების ნაწილმა საწარმოს წინ საპროტესტო აქცია გამართა, რის გამოც საწარმოო პროცესი ფეროში გაჩერდა. საპროტესტო აქციის მონაწილე მუშები ხელფასების 50%-იან ზრდას, ასევე ღამის საათების ანაზღაურების 20%-ით გაზრდას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ.

მუშები აცხადებდნენ, რომ ისინი სამუშაოდ მობილიზებულნი იყვნენ, მაგრამ მცირე ხელფასის გამო იძულებულნი იყვნენ, პროტესტის ამ ფორმისთვის მიემართათ. აქციაზე, დაახლოებით 1500-დან 1700-მდე კაცის გამოსვლას ელოდნენ და მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამდე პროტესტის შეწყვეტას არ აპირებდნენ.

შედგება თუ არა სოციალური დიალოგი დასაქმებულებსა და საწარმოს მფლობელ ამერიკულ კომპანიას შორის, ძნელი სათქმელია, რადგან კომპანია ულტიმატუმის ენით მოთხოვნების შესრულებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

კომპანიის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, მაკა კვარაცხელიას თქმით, ისინი მუშებს მხოლოდ დიალოგის ფორმით მოუსმენენ, ხოლო აქციების გაგრძელების შემთხვევაში, მუშებს განაცდური საათების ანაზღაურება ჩამოეჭრებათ.

ცნობისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სოციალურ დიალოგში მოიაზრებს ისეთ მრავალფეროვან პროცესებს, როგორიცაა მოლაპარაკებები, კონსულტაციები ან უბრალოდ ინფორმაციის გაცვლა ხელისუფლების, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებს შორის, რომელთა მიზანი საერთო ინტერესების გამოკვეთაა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში.

დამატებითი სამუშაო საათების ანაზღაურება სწორედ ის საკითხია, რის გამოც დამსაქმებლებმა შრომის კოდექსის ახალი ვარიანტი დაუწუნეს საკანონმდებლო ორგანოს. ოპონენტები იმასაც ამბობენ, რომ ევროპული ქვეყნების ბიზნესს დარტყმა სწორედ ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებამ მიაყენა და არც საქართველოსთვის იქნება უპრიანი, დამსაქმებლები „ზედმეტი“ ვალდებულებით დააფრთხოს, თუმცა, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას ვინ ჩივის, როცა სამუშაო საათების ღირსეულად ანაზღაურებაც პრობლემა გახდა საქართველოში. საქართველოს მუშახელის ინტერესების უგულებელყოფა, ალბათ, შრომის ახალი კოდექსის მიღებამდე ინერციით კვლავ გაგრძელდება, რადგან თვითნებობას მიჩვეული დამსაქმებლისთვის მაინცდამაინც მისაღები არ არის დაქირავებულთა ინტერესების გაზიარება-გათვალისწინება. ისიც საკითხავია, კოდექსის განხილვის პირველი რაუნდიდან უკანდახევის შემდეგ რას შესთავაზებს „ქართული ოცნება“ დასაქმებულებს უფლებების ღირსეულად დასაცავად. საზოგადოების ნაწილს უკვე სერიოზული ეჭვი შეეპარა იმაში, რომ წინასაარჩევნო დაპირება დასაქმებულთა უფლებებთან დაკავშირებით ზედმიწევნით შეიძლება შესრულდეს.

## შსს არქიტექტურულ იდეათა ღია კონკურსს აცხადებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სამინისტროს შენობათა იერსახის შეცვლისა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი შენობების დაპროექტების კონცეფციაზე არქიტექტურულ იდეათა ღია კონკურსი გამოაცხადა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამინისტრო, პროფესიონალ არქიტექტორებს, არქიტექტურულ კომპანიებს და ყველა სხვა დაინტერესებულ პირს იწვევს. კონკურსის საპრიზო ფონდი პირველ ადგილზე გასულისთვის 30,000 ლარს, მეორე ადგილზე გასულისთვის 15,000 ლარს, ხოლო მესამე ადგილზე გასულისთვის 5,000 ლარს შეადგენს.

„კონკურსის მიზანია შეიქმნას თანამედროვე საოფისე კომპლექსი, რომელიც თავს მოუყრის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებს ერთიან, ურთიერთდაკავშირებულ შენობათა ჯგუფში.

საკონკურსო ნამუშევრები შეფასდება პროფესიონალ არქიტექტორთა საკვალიფიკაციო კომისიის მიერ. მოხდება ნამუშევართა კლასიფიკაცია და ისინი გადაეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილ საგანგებო ჟიურის, რომელიც გამარჯვებულებს გამოავლენს. ჟიურის შემადგენლობაში იქნებიან არქიტექტორები და დამკვეთის წარმომადგენლები“ – აცხადებენ სამინისტროში.

საკონკურსო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა 2013 წლის 18 ივნისის 17:00 საათია. გამარჯვებულთა შესახებ ჟიურის გადაწყვეტილება კი, 2013 წლის 21 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება.

**ნიუსპრესი**

## „112“-ს ბელორუსის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ესტუმრა

„112“-ის დეპარტამენტს დღეს, ბელორუსის შინაგან საქმეთა მინისტრი იგორ შუნევიჩი , მინისტრის აპარატის ხელმძღვანელი და საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი ესტუმრნენ.

„112“-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუმრებმა საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი დაათვალიერეს, „112“ – ის ქოლ ცენტრის ოპერატორებს გაესაუბრნენ და საქართველოში ერთიანი საგანგებო ნომრის მართვის შესახებ ინფორმაცია მიიღეს. „112“– ის წარმომადგენლებმა პრეზენტაციის სახით, სტუმრებს დეპარტამენტის სამომავლო გეგმები გააცნეს. დელეგაციის წევრების განცხადებით, საქართველოს გამოცდილება საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში, მათ დასახული მიზნის, – „112“-ის შექმნას ბელარუსში, წარმატებულად განხორციელებაში დაეხმარება.**ნიუსპრესი**

## „შერატონ მეტეხი პალასში“ ოლიმპიადა „ევერესტის“ გამარჯვებულები დააჯილდოვეს

„შერატონ მეტეხი პალასში“, მათემატიკური ოლიმპიადის „ევერესტი-დაიპყარი შენი მწვერვალი“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ოლიმპიადაში სულ 25 ათასი სხვადასხვა სკოლის მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, აქედან გამარჯვებულ 76 მოსწავლეს სხვადასხვა საჩუქრები და სიგელები, ხოლო პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს დიპლომები და პლანშეტური კომპიუტერები გადასცეს.

ღონისძიებაზე ასევე დააჯილდოვეს 10 მასწავლებელი, მათგან ცხრას მობილური, ხოლო პირველ ადგილზე გასულ მასწავლებელს პლანშეტური კომპიუტერი გადასცეს.

**ნიუსპრესი**

## პირობით მსჯავრდებულებმა დუშეთში, დასუფთავების აქციაში მიიღეს მონაწილეობა

მცხეთა-მთიანეთის პრობაციის ბიუროს ორგანიზებით, დუშეთში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მიმდებარე სკვერში, დღეს, დასუფთავების აქცია მოეწყო. აქციაში დუშეთის რაიონში მცხოვრები ექვსი პირობით მსჯავრდებული მონაწილეობდა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, პრობაციონერებმა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია პოლიეთილენის ბოთლებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაწმინდეს.

**ნიუსპრესი**

# „ჩვენი საზოგადოებით მანიპულირება ძალიან იოლია“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მთელმა აგრესიამ ამ შემთხვევაში ამოხეთქა ერთი მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფის მისამართით, ანუ საზოგადოებამ აირჩია თავისი განტევების ვაცი, რომელზეც განახორციელა აგრესიული აქტი. ეს არის პროცესი, რომელიც სერიოზულ ანალიზს და შეფასებას საჭიროებს ყველა პროფესიის ადამიანის მხრიდან, იქნება ეს სოციოლოგი, ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი, კონფლიქტოლოგი თუ თეოლოგი. ეს არის პრობლემა, რომელიც მრავალმხრივად უნდა იყოს შეფასებული და მგონია, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები უნდა დასხდნენ ერთ დიდ მრგვალ მაგიდასთან და დაიწყონ იმაზე ფიქრი, თუ რა სჭირს დღეს ჩვენს საზოგადოებას.

***– გამოითქვა აზრი, რომ ეს დაპირისპირება განზრახ იყო ხელშეწყობილი გარკვეული ძალების მიერ, რათა საზოგადოების ყურადღება სოციალური პრობლემებიდან სხვა თემებზე ყოფილიყო გადატანილი, რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– რას ნიშნავს, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მოწყვლადობაზე? ჩვენი საზოგადოება, იმის გამო, რომ ტრავმირებულია, ძალიან იოლად ხდება მანიპულაციის საგანი. ესეც განსჯის საგანია. ძალიან იოლია ჩვენი საზოგადოებით მანიპულირება, სწორედ მისი ტრავმირებულობიდან გამომდინარე. თუმცა, მე არ ვარ პოლიტოლოგი და ვერ გავაკეთებ ასეთ შეფასებას, მაგრამ ასეთი დაშვებაც შეიძლება იმიტომ, ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის ჯგუფები პოლიტიკური მანიპულაციის საგნებად ხშირად გადაიქცევიან ხოლმე. ასე რომ, ამას ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი. თუმცა, ჩვენ რომ მძიმე გამოცდილების მქონე საზოგადოებას წარმოვადგენთ, რომელსაც ეს ტრავმები და ტკივილები არ აქვს „გადახარშული“, გამოგლოვილი და ასე შემდეგ, ამის გამო ჩვენ იოლად მოწყვლადები ვართ, გვაქვს შესაძლებლობა, იოლად გადავიქცეთ უმართავ მასად და ძალიან იოლია ჩვენით მანიპულირება.

# მაქსიმ ავერინი მონოსპექტაკლს ითამაშებს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი რუსი მსახიობი მაქსიმ ავერინი რუსთაველის თეატრის სცენაზე მონოსპექტაკლს გაითამაშებს. 9 და 10 ივნისს რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება „ყველაფერი სიყვარულით იწყება“.

— მაქსიმ ავერინი რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, მოსკოვის არკადი რაიკინის სახელობის თეატრ „სატირიკონის“ არტისტი და პოპულარული კინომსახიობია. მისი მონოსპექტაკლი „ყველაფერი სიყვარულით იწყება“ გპირდება, გააფართოვოს მაყურებლის წარმოდგენა — ამ არაჩვეულებრივი მსახიობის ტალანტსა და შესაძლებლობებზე. ეს არ არის კონცერტი და არც შემოქმედებითი შეხვედრა — ეს სწორი მონოსპექტაკლია — სრულფასოვანი თეატრალური ქმედება, გააზრებული, ოსტატურად აწყობილი მოზაიკა — რომელიც შედგება მუსიკისგან, პოეზიისგან და პროზისგან — ოსტატური განათების და ხმის პარტიტურის თანხლებით. ამ სპექტაკლში მსახიობი ერთი-ერთზე რჩება მაყურებელთან და უხსნის თავის სულს ამ დიალოგით, — ნათქვამია რუსთაველის თეატრის განცხადებაში.



რუსი მსახიობის მიერ წარმოდგენილი მონოსპექტაკლის პროგრამაშია სამოილოვის — პროზა და ლექსები. ასევე ვერტინსკის, პასტერნაკის, მაიაკოვსკის, როჟდესტვენსკის და ვისოცკის შემოქმედება. რუსთაველის თეატრში მისული საზოგადოება ნახავს ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან, მოისმენს საბჭოთა და რუსი კომპოზიტორების სიმღერებს, შეაფასებს ვიდეოსპექტრს კინოფილმებიდან და რა თქმა უნდა, შედგება დარბაზთან ცოცხალი ურთიერთობა.

— მაქსიმ ავერინი განეკუთვნება იმ მსახიობთა რიცხვს, რომელსაც თან მიჰყავს მაყურებელი, ყოველთვის გულწრფელ მსმენელს და თანამოსაუბრეს პოულობს მასში. დამაჯერებელი დადებითი ენერგია, რომელსაც მსახიობი ასხივოსნებს, გჩუქნით შთაგონებას და ოცნებას, რომელიც აღწევს თქვენს გულში. მონოსპექტაკლი შესვენების გარეშე 1 საათი და 50 წუთი გრძელდება.

რუსი მსახიობის მასპინძლობამდე, რუსთაველის თეატრმა სამეჯლისო დარბაზში უმასპინძლა კონფერენციას — „რუსთაველის თეატრის მუზეუმის ფონდებში დაცული მასალის ძიება-ინტერპრეტაცია“, რომელიც რუსთაველის თეატრის მუზეუმის 80 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენცია მოიცავდა რუსთაველის თეატრის მუზეუმის ფონდებში დაცული მასალის ძიება-ინტერპრეტაციას. რობერტ სტურუას მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, კონფერენციაში მონაწილეებმა ისაუბრეს თემებზე „ფასდაუდებელი საგანძური“, „სარეპეტიციო დღიური“, „რუსთაველის თეატრის მუზეუმის მნიშვნელობა და ღირებულება თეატრმცოდნეობითი კვლევისას 1979-90-იან წლებში“, „კირილე ზდანევიჩი რუსთაველის თეატრში“, „ერთი ოჯახის ისტორია — პიტოევები (რუსთაველის თეატრის შენობის ისტორიისათვის)“, „ქართული სიწმინდეების, უცხოური ფერწერული და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების სიმბოლური ჟღერადობა რობერტ სტურუას ინტერპრეტაციით დადგმული სპექტაკლების მირიან შველიძისეულ სცენოგრაფიაში“, „სცენოგრაფიის ტიპთა მსგავსება და განსხვავება რობერტ სტურუას თეატრში“, „ირაკლი გამრეკელი და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ტრადიციები რუსთაველის თეატრში“, „თანამედროვე რეჟისურის ტენდენციები რუსთაველის თეატრში (90-იანი წლები)“, „ძველი ღმერთების დაცემა“ (ამერიკული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე და წარმატებული „სეილემის პროცესი“).

რუსთაველის თეატრში ჩატარებული კონფერენცია, რომელიც თეატრის მუზეუმის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა, დისკუსიამ დაასრულა.

# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა — აფხაზეთი

ეკა ირემაშვილი

25 მაისს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საგამოფენო დარბაზში, რომელიც წმიდა სამების საკათედრო ტაძარში მდებარეობს, მოეწყობა თანამედროვე ქართველი მხატვრის დავით ბაძაღუას ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომლის სახელწოდებაა „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა — აფხაზეთი“.

— 2012 წელს თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა — აფხაზეთი“-ს ფარგლებში მხატვარმა დავით ბაძაღუამ შექმნა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის 22-მდე ძეგლის — ბედიის, ილორის, მოქვის, ლიხნის, ანაკოფიის, გაგრის, დრანდის, ჭუბურხინჯის და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების ფერწერული და გრაფიკული სურათების სერია. მისი მიზანია აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცოცხლება ფერწერასა და გრაფიკაში, ქართული კულტურის ძეგლების პოპულარიზაცია, საქართველოს რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის ხელშეწყობა, — აღნიშნულია საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის განცხადებაში.

გამოფენის გახსნაზე მიწვეული არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები, პრესა, მასმედია, თბილისში მცხოვრები დევნილი საზოგადოება, მოზარდები, სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ აფხაზეთში არსებულ ქართულ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

— გამოფენა საზეიმოდ გაიხსნება და სიტყვით გამოვლენ, როგორც მხატვრები, ასევე საზოგადოების სხვა წევრები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, რომლებიც უშუალოდ აფხაზეთის ძეგლებსა და მათ მნიშვნელობაზე ისაუბრებენ, — ნათქვამია განცხადებაში.

დავით ბაძაღუას სამომავლო გეგმებიც უკვე გაწერილი აქვს — 2013 წლის ივნის-ივლისში ზემოხსენებული სურათების გამოფენა გაიმართება საქართველოს სამ ქალაქში — კასპში, ქუთაისსა და ზუგდიდში. პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი კატალოგები გამოფენაზე დაურიგდებათ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით დაინტერესებულ პირებს, ასევე გაიგზავნება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებში.

— პრობლემის განსაზღვრა ანუ არსებული სიტუაციის ანალიზი ასეთია — თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ისევე, როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში, შემორჩენილია მდიდარი ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. ამ ძეგლებმა საუკუნეების ქარტეხილებს გაუძლო და დღემდე შემორჩა, როგორც სიმბოლო ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ერთიანობისა და სულიერი გაუტეხელობისა. აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული ფასეულობები მსოფლიო საგანძურის თვითმყოფად და საინტერესო ნაწილად არის აღიარებული. მათი კედლებიდან კი თანდათან შლიან უნიკალურ ფრესკებსა და ისტორიული ინფორმაციის შემცველ უძველეს ქართულ წარწერებს, რითაც ცდილობენ, საბოლოოდ გააქრონ ამ ძეგლების ქართული წარმომავლობის დამადასტურებელი უტყუარი ფაქტები. აფხაზეთში, საქართველოს ამ ძირძველ მხარეში, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ქართული კულტურის შესანიშნავი კერები. მათი საქმიანობა განუყოფელი ნაწილი იყო ქვეყნის სულიერი ცხოვრებისა. ბედიის, მოქვის ლიხნის, ილორის, წარჩეს სამონასტრო კომპლექსებში საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ახალი ხელნაწერები, მიმდინარეობდა ძველის განახლება-რესტავრაცია, ბერძნულიდან ქართულზე, ან პირიქით თარგმნა. ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხოფის (ხუაფის) წმიდა ნიკოლოზის სახელობის, მსიგხუას მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების, დრანდის, გაგრის, ახალი ათონის წმიდა სვიმონ კანანელის, ჭლოუს, წკელიკარის წმიდა გიორგის სახელობის, ლუმურიშის, გუდავის, ლაშქენდარის, მიუსერისა და დიხაზურგას ეკლესიებს, რომელთა ისტორიული ნაშთები დღესაც ამშვენებს საქართველოს ამ კუთხეს. ამ პრობლემის ირგვლივ საერთაშორისო დონეზე ცოტას საუბრობენ. დევნილი საზოგადოებისთვის, რომლებიც დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არიან მიმოფანტულნი, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. სწორედ ამიტომ, თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით და ორგანიზაციის „განათლება დემოკრატიისათვის“ ინიციატივით, შეიქმნა მხატვარ დავით ბაძაღუას მიერ ზემოხსენებული ძეგლების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების სერია, — განმარტავენ საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში.

ექსპოზიციის შევსების მიზნით, გამოფენაზე ძეგლების სურათებთან ერთად, დავით ბაძაღუას სხვა ფერწერული ნამუშევრებიც, სულ 45-მდე სურათი, იქნება წარმოდგენილი.

დავით ბაძაღუას ნამუშევრების გამოფენამდე საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში სევარიონ (სოსო) ნადირაძის ახალი პოეტური კრებულის „ლექსი თეთრი ბილეთი“-ს წარდგინება მოეწყო. წიგნში შესულია პოეტის 300-მდე ლექსი. „ლექსი თეთრი ბილეთი“ მაღალი სტანდარტებით გამოსცა გამომცემლობა „საუნჯემ“. წიგნის რედაქტორი კი როსტომ ჩხეიძეა.


## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# გიორგი ცინცაძე: ნოსტალგია ძალიან მაწუხებს

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კიევის „ბუდიველნიკის" გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე უკრაინის ჩემპიონატის ფინალშია გასული და პირველობისთვის იბრძვის. იმის ფონზე, რომ წელს კალათბურთში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება, სათამაშო პრაქტიკა ჩვენებურისთვის უმნიშვნელოვანესია.

ცინცაძე უკრაინაში ჩინებულად ირჯება და უყურადღებოდ არც ჟურნალისტებს დაუტოვებიათ. ქართველი კალათბურთელი რადიოში იყო მიწვეული, სადაც ვცრლად ისაუბრა, შემდეგ კი ინტერვიუ უკრაინულ ვებგვერდებზეც გამოჩნდა.

***— რატომ აირჩიე კალათბურთი? სპორტის ამ სახეობით როდის და რატომ დაკავდი?***

— ბავშვობაში ფეხბურთი უფრო მიყვარდა და პირველად სწორედ მისით ვიყავი დაკავებული. თუმცა, მშობლები კალათბურთისკენ იხრებოდნენ, რადგანაც მამაჩემი კალათბურთს თამაშობდა. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ 9 წლის ასაკში ფეხბურთს შევეშვი და კალათბურთზე გადავერთე.

***— არაერთ ქვეყანაში გითამაშია. ყველაზე მეტად კალათბურთი სად უფრო პოპულარულია?***

— საბერძნეთში. იქ „გადარეული" ქომაგები არიან და გულშემატკივართა კულტურა ძალიან მაღალია. ამ კუთხით, იმ ქვეყანათა შორის, სადაც მითამაშია, საბერძნეთი პირველ ადგილზეა, სხვაგან კი დაახლოებით იგივე სიტუაციაა, რაც უკრაინაში. რუსეთში, პოლონეთში და ესტონეთშიც ხალხი კალათბურთზე დადის, თუმცა, ბერძენთა მსგავსი ქომაგობა არ იციან.

***— უკრაინაში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის რისი გაკეთებაა საჭირო?***

— ვფიქრობ, დროთა განმავლობაში კალათბურთზე უფრო მეტი ხალხი დაიწყებს სიარულს. როგორც ვიცი, უკრაინაში სპორტის ეს სახეობა ახალ სიმაღლეზე სწორედ ახლა ადის და გუნდებიც განვითარების საწყის ეტაპზე არიან. ისინი ევროპულ ასპარეზზე გარკვეულ წარმატებას უკვე აღწევენ, ეს კი ხალხის მიზიდვისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

***— უკრაინის და საქართველოს ჩემპიონატები დიდად განსხვავდება?***

— დიახ. შემიძლია ვთქვა, რომ უკრაინაში სულ სხვა დონეა. აქ უფრო ბევრი ძლიერი გუნდია და კლუბების ბიუჯეტებიც რადიკალურად განსხვავდება. მათი შედარებაც კი შეუძლებელია.

***— „ბუდიველნიკთან" კონტრაქტი 2012 წლის აგვისტოში გააფორმე, შემდეგ „ოლიმპიაკოსშიც" გეპატიჟებოდნენ... ახლა, როგორი გეგმები გაქვს? კიევურ გუნდთან ხელშეკრულების გაგრძელებას აპირებ?***

— „ოლიმპიაკოსთან" დაკავშირებით ყველაფერი დამთავრდა. მათ ერთი კალათბურთელი ჰყავდათ ტრავმირებული და მის შესაცვლელად რამდენიმე კანდიდატურას განიხილავდნენ, რომელთა შორის მეც ვიყავი. თუმცა, უფრო მეტზე საქმე არ მისულა. რაც შეეხება „ბუდიველნიკთან" კონტრაქტის გაგრძელებას, ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგანაც ამ ეტაპზე არაფერი ვიცი.

***— მიმდინარე სეზონში „ბუდიველნიკმა" რეგულარული პირველობა ლიდერის რანგში დაასრულა. გუნდს ჩემპიონობის დაბრუნების რა შანსი აქვს?***

— დიდი იმედი მაქვს, რომ გუნდი 2011 წლის წარმატებას გაიმეორებს. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუკი საკუთარ თავს პრობლემებს არ შევუქმნით, ყველაფერი გამოვა.

***— უკრაინასთან ადაპტაციის პროცესმა როგორ ჩაიარა? კიევში თავს როგორ გრძნობ?***

— აქ კალათბურთს სერიოზული ტრავმის შემდეგ დავუბრუნდი. თავდაპირველად ცოტა რთული იყო — ახალი კოლექტივი, ახალი გუნდი. თუმცა, თანდათანობით ყველაფერი დალაგდა. გუნდს შევეგუე და ახლა, ყველაფერი წესრიგშია. კიევი ძალიან კარგი ქალაქია.

***— თანაგუნდელთაგან საუკეთესო ურთიერთობა ვისთან გაქვს? თავისუფალ დროს სად ატარებ?***

— ყველაზე მეტად მიშა ანისიმოვთან ვკონტაქტობ. იმიტომ, რომ მას აქამდეც ვიცნობდი და საერთო მეგობრებიც გვყავს. ისიც დაემთხვა, რომ მასთან ახლოს ვცხოვრობ. თუმცა, ისეც არაა, რომ მხოლოდ მასთან ვმეგობრობდე. ძალიან კარგი გუნდი გვყავს, ჩინებული ბიჭები არიან და ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ.

***— კლუბში ჯარიმების სისტემა არსებობს? ყველაზე მეტად რაზე და როგორ გაჯარიმებენ?***

— ცხადია, არსებობს. თუკი ვინმე ვარჯიშზე დააგვიანებს, მას გააცდენს ანაც ფორმა დარჩება. პირადად, ღმერთის წყალობით, მსგავსი რამ არ შემთხვევია.

***— წლეულს, უკრაინის კალათბურთის ისტორიაში პირველად „ბუდიველნიკი" ევროთასის ნახევარფინალში გავიდა. იმ მატჩების შემდეგ რა შეგრძნება დაგრჩათ?***

— რასაკვირველია, სასიამოვნოა, რომ იმ მოვლენების მონაწილე ვიყავი, თუმცა, მგონია, უკეთესად თამაშიც შეგვეძლო. მაგალითად, თავად ნამდვილად არ ვარ კმაყოფილი, რომ მხოლოდ ნახევარფინალს გავედით.

***— იმ მატჩებზე გულშემატკივარი ნამდვილად მრავლად იყო.***

— ეს ძალიან გვეხმარება. მსახიობის გამოსვლას შემიძლია შევადარო, რომელიც სპექტაკლს ცარიელ დარბაზში ატარებს. იმ შემთხვევაში კი კარგად გვქომაგობდნენ და კმაყოფილი ვარ. ჩვენ ძალიან კარგი გულშემატკივრები გვყავს.

***— შენი ოცნების გუნდის შექმნის საშუალება რომ მოგეცეს, ხუთეულში ვის შეიყვანდი? ანუ შენ და კიდევ ოთხეული.***

— ჩემს საყვარელ მოთამაშეებს ჩამოვთვლი. ჩემი კერპი მანუ ჯინობილია. პირველი — მე, მეორე — მანუ, მესამე — კევინ დურანტი, მეოთხე — დირკ ნოვიცკი — მეოთხე და მეხუთე ძმები გასოლებიდან ერთ-ერთი.

***— მომავალ ევრობასკეტზე მონაწილეობას მიიღებენ როგორც — უკრაინის, ისევე საქართველოს ნაკრებები. ამ გუნდების საჩემპიონატო შანსებზე რის თქმა შეგიძლია?***

— ვფიქრობ, უკრაინას უფრო იოლი ჯგუფი შეხვდა, ვიდრე — ჩვენ. თქვენს გუნდს წარმატებას ვუსურვებ და იმედია, ჯგუფიდან გასვლას მოახერხებთ. რაც შეგვეხება ჩვენ, ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს. ამასთან, დაშავდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი და საუკეთესო მოთამაშე ზაზა ფაჩულია, რომელიც ტურნირს გამოტოვებს. აღნიშნულის გამო, ჩვენი შანსები შემცირდა. ცხადია, ბოლომდე დავიხარჯებით, თუმცა, ესპანელების, სლოვენიელების და ხორვატების წინააღმდეგ თამაში ძალიან რთული იქნება.

***— 2015 წელს ევროპის პირველობას უკვე უკრაინა უმასპინძლებს. ეს ყველაფერი ქვეყანაში კალათბურთისადმი ინტერესის ზრდას ხელს რამდენად შეუწყობს?***

— ცხადია, კალათბურთის დონეს და პოპულარობას აამაღლებს. ამას გარდა, ქვეყანას შეემატება დარბაზები, რომელთაც სპეციალურად ევროპისრველობისთვის აშენდება. არადა, ამ მხრივ, ბევრ ქალაქში სახარბიელი სიტუაცია ნამდვილად არ არის. იმედი მაქვს, უკრაინაში დაგეგმილ ჩემპიონატში საქართველოც ითამაშებს.

***— კიევში თავს როგორ გრძნობ? საქართველოში ჩასვლას ხშირად ახერხებ?***

— საქართველოსა და უკრაინაში ცხოვრების რიტმი და მენტალიტეტი დიდად არ განსხვავდება, ამდენად, აქაურ სტილზე გადმოწყობა არ გამჭირვებია. საქართველოში იშვიათად ვიმყოფები ხოლმე. ახალ წელს გავემგზავრე და ეს იყო, ამდენად, ნოსტალგია ძალიან მაწუხებს.

***— კალათბურთის გარდა ფეხბურთიც გიზიდავს და შენი საყვარელი გუნდი „ბარსელონაა". ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში კატალონიელთა მარცხის შემდეგ რა ემოციები გქონდა?***

— ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა. საფეხბურთო „ბარსელონა" ჩემთვის პირველი გუნდია. არა მხოლოდ კალათბურთსა და ფეხბურთში, არამედ — საერთოდ სპორტში. კატალონიელებს მთელი ოჯახით ვქომაგობთ და ჩვენთვის ყველა მათი მატჩი, მიუხედავად იმისა, ვის ეთამაშებიან, ნამდვილი ზეიმია. „ბაიერნთან" გავარდნა — ეს კატასტროფაა! კიდევ კარგი, „რეალმაც" გაგვახარა.

***— ფეხბურთში მსაჯებთან ბევრი შეკითხვებია. ამ მხრივ, კალათბურთში როგორი სიტუაციაა?***

— განსაკუთრებით, ბევრი შეკითხვა მაშინაა, როდესაც „ბარსელონა" თამაშობს. რაც შეეხება კალათბურთს, ამ მხრივ უკრაინაში ყველაფერი ნორმალურადაა. აქ მსაჯობის კარგი დონეა. სხვათა შორის, არც ის მსმენია, რომ არბიტრთა ქმედებები თუნდაც ევროლიგაში ვინმეს გაეკრიტიკებინოს.

***— მოედანზე მსაჯებთან შეკამათება თუ მოგსვლია?***

— გარკვეულ მომენტებში კამათში ჩავბმულვარ, მაგრამ ამის გამო ტექნიკური ფოლი არ მიმიღია.



***— ამასწინათ, უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სკანდალი მოხდა, როდესაც მსაჯების ქმედებით უკმაყოფილო ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტმა მათ და კომისარს მუქარა არ დააკლო და შემდეგ ქალაქიდან „გააძევა". ამ ფაქტს რა კომენტარს გაუკეთებდი?***

— ასეთი რამ ჩემს კარიერაში ნამდვილად არ მინახავს. აღნიშნული ფაქტი მეც შევიტყვე. მსაჯებიც ადამიანები არიან და შესაძლოა, შეცდნენ, თუმცა, ასეთი მიდგომა არაადეკვატურია.

***— ბოლო პერიოდში შორეული ტყორცნები კარგად გამოგდის. ამ კომპონენტს ვარჯიშზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობ?***

— ბოლო მატჩებში სამქულიანები მართლაც გამომდის, თორემ მთელი სეზონი საქმე ცუდად იყო. ცხადია, ვარჯიშებზე იმ კომპონენტს, რომელთა გამოსწორებაც საჭიროა, განსაკუთრებულად ამუშავებ. ვფიქრობ, ახლა კარგი პერიოდი „დავიჭირე" და ქომაგებს კიდევ გავახარებ.

***— კალათბურთში შენი საყვარელი ტექნიკური ილეთი რომელია?***

— პასი და თუ ეს ლამაზად გამომდის, კიდევ უფრო მახარებს.

***— შენი ყველაზე დიდი საკალათბურთო ოცნება რა არის?***

— ევროლიგის კარგ გუნდში თამაში და იქ ფეხის მოკიდება. იმედი მაქვს ამ დონემდე „ბუდიველნიკიც" მივა და მე ამ გუნდის ნაწილი ვიქნები.

***— მოედანზე მწვრთნელის დავალებებს ყოველთვის ასრულებ?***

— არა, რადგანაც კალათბურთო საინტერესო სწორედ ამითაა. მეტოქე მუდმივად იმის ცდაშია, რომ შენი თამაში გააანალიზოს, ამდენად, როდესაც კომბინაციას ცვლი და რაღაცას სხვაგვარად აკეთებ, ის იბნევა და თამაშიც უფრო საინტერესო ხდება.

***— მოედანზე მოთამაშის პოზიცია როგორ განისაზღვრება? შენ მცველი ხარ — როგორი ფუნქციები გაქვს?***

— თუკი ინგლისურიდან გადმოვთარგმნით, კალათბურთისთვის მცველი არასწორი ვარიანტია. ინგლისურად გამოითქმის „პოინტ გარდ" ანუ გამთამაშებელი. ამ უკანასკნელმა მთელი გუნდის თამაშის ორგანიზება უნდა მოახდინოს, ის მოედანზე დირიჟორია. გამთამაშებელს კალათბურთში ყველაზე მთავარი როლი აკისრია.

***— თუ გაქვს სურვილი, რომ საკალათბურთო წესებში რამე შეიცვალოს?***

— ჩემი ნება რომ იყოს, სიმულიანტებს დავსჯიდი. ამასთან, კალათბურთში მსაჯები ძალიან ლმობიერად ექცევიან ავტორიტეტულ მოთამაშეებს. მათ უფრო მეტის უფლება აქვთ, ვიდრე — ახალგაზრდა კალათბურთელებს. თუკი ახალბედა რომელიმე სუპერვარსკვლავის წინააღმდეგ თამაშობს, მისი ყოველი მიკარება ჯარიმაა. ეს მიდგომა ყველგან შეინიშნება და ძალიან არ მომწონს.

***— კალათბურთი თუ გესიზმრება ხოლმე?***

— მქონდა პერიოდი, როდესაც თამაშამდე ერთი დღით ადრე მატჩი მესიზმრებოდა ხოლმე. არა — შედეგი, არამედ ის, კარგად ვითამაშე თუ ცუდად. სადღაც ერთი წელი ეს მუშაობდა. წინასწარ ვიცოდი, როგორ ვითამაშებდი.

***— შენს ოჯახზე მოგვიყევი. მეუღლე საქართველოდანაა? შვილს რომელ სპორტზე მიაბარებდი? თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

— დიახ, მეუღლე ქართველია. ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ და 10 წელი ვმეგობრობდით, სანამ ცოლად მოვიყვანდი. ის ჩემთვის ძალიან ახლო ადამიანი და მეგობარია. კიევში ფეხით ძალიან ბევრს ვსეირნობთ. საბავშვო ეტლთან ერთად 10 კილომეტრსაც კი გავდივართ ხოლმე. ცხადია, შვილის კალათბურთში ხილვას ვისურვებდი, თუმცა, ფეხბურთის საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს. ისე კი მგონია, რომ ის მაღალი გაიზრდება და ფეხბურთზე არ შევა.

***— ქალებში ყველაზე მეტად რას აფასებ?***

— ერთგულებას. როდესაც ადამიანს ენდობი და მასში 100 პროცენტით ხარ დარწმუნებული, ეს დაძაბულობას ხსნის.

***— რუსულად და ინგლისურად თავისუფლად საუბრობ. უკრაინულთან დაკავშირებით როგორაა საქმე?***

— ზოგიერთ ქალაქში რუსულად საერთოდ არ საუბრობენ. შენ მათ რუსულად ელაპარაკები, ისინი კი მაინც უკრაინულად გპასუხობენ. მართალი გითხრათ, უკრაინული ცუდად მესმის.

***— საქართველო სამზარეულოთი განთქმულია. უკრაინაში რომელი კერძები გასინჯე და რომელი მოგეწონა?***

— ბორშჩი და კიევური კატლეტი გავსინჯე. „სალა" არ მიყვარს.

***— აზარტული ადამიანი ხარ? ბანქოს თუ თამაშობ ამ კაზინოში თუ დადიხარ?***

— დიახ, კაზინოში სიარული და ბანქოს თამაში მიყვარს, თუმცა, დიდ თანხებს არასოდეს ვაგებ. ვიცი, რამდენის დახარჯვა შემიძლია და იმაზე მეტს არ ვაგებ ხოლმე. ზღვარი ვიცი და მას არ გადავდივარ.

***— უკაცრიელ კუნძულზე სამ რომელ ნივთს წაიღებდი?***

— კომპიუტერულ თამაშს, იარაღს, რადგან უკაცრიელი კუნძულზეც კი მაინც ბოლოს რაიმეს შეხვდები და მზის სათვალეს.

***— როგორც ძველ კეთილ ზღაპარშია, ოქროს თევზი რომ დაიჭირო, შენი სამი სურვილი როგორი იქნებოდა?***

— ჩემი ოჯახის ჯანმრთელობა, მშვიდობა მსოფლიოში და კარგი მანქანა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი ......... 5:5
ვესტ ჰემი-რედინგი ......... 4:2
ლივერპული-ქპრ ......... 1:0
ნიუკასლი-არსენალი ......... 0:1
სიტი-ნორვიჩი ......... 2:3
საუთჰემპტონი-სტოკი ......... 1:1
სუონსი-ფულემი ......... 0:3
ტოტენჰემი-სანდერლენდი ......... 1:0
უიგანი-ასტონ ვილა ......... 2:2
ჩელსი-ევერტონი ......... 2:1

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 38 | 28 | 5 | 5 | 86-43 | 89 |
| 2.სიტი | 38 | 23 | 9 | 6 | 66-34 | 78 |
| 3.ჩელსი | 38 | 22 | 9 | 7 | 75-39 | 75 |
| 4.არსენალი | 38 | 21 | 10 | 7 | 72-37 | 73 |
| 5.ტოტენჰემი | 38 | 21 | 9 | 8 | 66-46 | 72 |
| 6.ევერტონი | 38 | 16 | 15 | 7 | 55-40 | 63 |
| 7.ლივერპული | 38 | 16 | 13 | 9 | 71-43 | 61 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 38 | 14 | 7 | 17 | 53-57 | 49 |
| 9.სუონსი | 38 | 11 | 13 | 14 | 47-51 | 46 |
| 10.ვესტ ჰემი | 38 | 12 | 10 | 16 | 45-53 | 46 |
| 11.ნორვიჩი | 38 | 10 | 14 | 14 | 41-58 | 44 |
| 12.ფულემი | 38 | 11 | 10 | 17 | 50-60 | 43 |
| 13.სტოკი | 38 | 9 | 15 | 14 | 34-45 | 42 |
| 14.საუთჰემპტონი | 38 | 9 | 14 | 15 | 49-60 | 41 |
| 15.ასტონ ვილა | 38 | 10 | 11 | 17 | 47-69 | 41 |
| 16.ნიუკასლი | 38 | 11 | 8 | 19 | 45-68 | 41 |
| 17.სანდერლენდი | 38 | 9 | 12 | 17 | 41-54 | 39 |
| 18.უიგანი | 38 | 9 | 9 | 20 | 47-73 | 36 |
| 19.რედინგი | 38 | 6 | 10 | 22 | 43-73 | 28 |
| 20.ქპრ | 38 | 4 | 13 | 21 | 30-60 | 25 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-რაიო ......... 2:3
დეპორტივო-ესპანიოლი ......... 2:0
სარაგოსა-ბილბაო ......... 1:2
ბარსელონა-ვალიადოლიდი ......... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 30 | 4 | 2 | 109-39 | 94 |
| 2.რეალი | 36 | 25 | 6 | 5 | 96-37 | 81 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 22 | 6 | 8 | 62-30 | 72 |
| 4.სოსიედადი | 36 | 17 | 11 | 8 | 66-46 | 62 |
| 5.ვალენსია | 36 | 18 | 8 | 10 | 63-50 | 62 |
| 6.მალაგა | 36 | 15 | 9 | 12 | 49-45 | 54 |
| 7.ბეტისი | 35 | 15 | 7 | 13 | 52-54 | 52 |
| 8.რაიო | 36 | 15 | 4 | 17 | 46-63 | 49 |
| 9.სევილია | 36 | 13 | 8 | 15 | 53-49 | 47 |
| 10.ხეტაფე | 36 | 13 | 8 | 15 | 42-53 | 47 |
| 11.ესპანიოლი | 36 | 11 | 11 | 14 | 43-49 | 44 |
| 12.ბილბაო | 36 | 12 | 8 | 16 | 42-62 | 44 |
| 13.ვალიადოლიდი | 36 | 11 | 10 | 15 | 47-52 | 43 |
| 14.ლევანტე | 36 | 11 | 9 | 16 | 38-56 | 42 |
| 15.გრანადა | 36 | 10 | 9 | 17 | 35-53 | 39 |
| 16.ოსასუნა | 36 | 9 | 9 | 18 | 29-45 | 36 |
| 17.დეპორტივო | 36 | 8 | 11 | 17 | 46-66 | 35 |
| 18.სარაგოსა | 36 | 9 | 7 | 20 | 36-55 | 34 |
| 19.სელტა | 36 | 8 | 7 | 21 | 34-52 | 31 |
| 20.მალიორკა | 35 | 7 | 8 | 20 | 38-70 | 29 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ელჩე ......... 2:1
ერკულესი-მირანდესი ......... 1:0
საბადელი-რასინგი ......... 0:2

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-კიევო ......... 2:2
ბოლონია-ჯენოა ......... 0:0
ინტერი-უდინეზე ......... 2:5
კალიარი-ლაციო ......... 1:0
პალერმო-პარმა ......... 1:3
პესკარა-ფიორენტინა ......... 1:5
რომა-ნაპოლი ......... 2:1
სიენა-მილანი ......... 1:2
ტორინო-კატანია ......... 2:2

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 38 | 27 | 6 | 5 | 71-24 | 87 |
| 2.ნაპოლი | 38 | 23 | 9 | 6 | 73-36 | 78 |
| 3.მილანი | 38 | 21 | 9 | 8 | 67-39 | 72 |
| 4.ფიორენტინა | 38 | 21 | 7 | 10 | 72-44 | 70 |
| 5.უდინეზე | 38 | 18 | 12 | 8 | 59-45 | 66 |
| 6.რომა | 38 | 18 | 8 | 12 | 71-56 | 62 |
| 7.ლაციო | 38 | 18 | 7 | 13 | 51-42 | 61 |
| 8.კატანია | 38 | 15 | 11 | 12 | 50-46 | 56 |
| 9.ინტერი | 38 | 16 | 6 | 16 | 55-57 | 54 |
| 10.პარმა | 38 | 13 | 10 | 15 | 45-46 | 49 |
| 11.კალიარი | 38 | 12 | 11 | 15 | 43-55 | 47 |
| 12.კიევო | 38 | 12 | 9 | 17 | 37-52 | 45 |
| 13.ბოლონია | 38 | 11 | 11 | 16 | 46-52 | 44 |
| 14.სამპდორია | 38 | 11 | 10 | 17 | 43-51 | 42 |
| 15.ატალანტა | 38 | 11 | 9 | 18 | 39-56 | 40 |
| 16.ტორინო | 38 | 8 | 16 | 14 | 46-55 | 39 |
| 17.ჯენოა | 38 | 8 | 14 | 16 | 38-52 | 38 |
| 18.პალერმო | 38 | 6 | 14 | 18 | 34-54 | 32 |
| 19.სიენა | 38 | 9 | 9 | 20 | 36-57 | 30 |
| 20.პესკარა | 38 | 6 | 4 | 28 | 27-84 | 22 |

**შენიშვნა:**

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

**იტალია. სერია ბ**

კროტონე-იუვე სტაბია ......... 3:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ფრანკფურტი ......... 2:2
ბოხუმი-უნიონი ......... 1:2
ჰერტა-კოტბუსი ......... 1:1
დინამო-რეგენსბურგი ......... 3:1
დუისბურგი-პადერბორნი ......... 3:2
ზანდჰაუზენი-აუე ......... 0:1
ინგოლშტადი-კიოლნი ......... 0:3
კაიზერი-ზ.პაული ......... 1:2
მიუნხენ 1860-ალენი ......... 3:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-ლიონი ......... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 37 | 24 | 8 | 5 | 66-22 | 80 |
| 2.მარსელი | 37 | 21 | 7 | 9 | 42-36 | 70 |
| 3.ლიონი | 37 | 18 | 10 | 9 | 59-38 | 64 |
| 4.სტ. ეტიენი | 37 | 16 | 14 | 7 | 59-31 | 62 |
| 5.ლილი | 37 | 16 | 13 | 8 | 58-39 | 61 |
| 6.ნიცა | 37 | 17 | 10 | 10 | 55-46 | 61 |
| 7.ლორიანი | 37 | 14 | 11 | 12 | 56-55 | 53 |
| 8.მონპელიე | 37 | 15 | 7 | 15 | 54-49 | 52 |
| 9.ბორდო | 37 | 12 | 16 | 9 | 38-33 | 52 |
| 10.ტულუზა | 37 | 12 | 12 | 13 | 47-47 | 48 |
| 11.რენი | 37 | 13 | 7 | 17 | 48-57 | 46 |
| 12.ბასტია | 37 | 13 | 7 | 17 | 50-66 | 46 |
| 13.ვალანსიენი | 37 | 11 | 12 | 14 | 47-52 | 45 |
| 14.რეიმსი | 37 | 10 | 12 | 15 | 33-42 | 42 |
| 15.ევიანი | 37 | 10 | 10 | 17 | 45-51 | 40 |
| 16.აიაჩო | 37 | 9 | 15 | 13 | 39-49 | 40 |
| 17.სოშო | 37 | 10 | 10 | 17 | 41-57 | 40 |
| 18.ტრუა | 37 | 8 | 13 | 16 | 42-59 | 37 |
| 19.ნანსი | 37 | 8 | 11 | 18 | 36-57 | 35 |
| 20.ბრესტი | 37 | 8 | 5 | 24 | 31-60 | 29 |

**შენიშვნა:** აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

**პლეი ოფები**

ტვენტე-გრონინგენი ......... 3:2
უტრეხტი-ჰერენვენი ......... 2:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-სპორტინგი ......... 1:4
ბენფიკა-მორეირენსე ......... 3:1
გიმარაეში-რიუ ავე ......... 0:1
სეტუბალი-ბრაგა ......... 0:1
ჟილ ვისენტე-ეშტორილი ......... 1:3
ნასიონალი-აკადემიკა ......... 2:1
ოლჰანენსე-მარიტიმუ ......... 0:0
ფერეირა-პორტუ ......... 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ალანია-დინამო ......... 1:0
კრ.სოვეტოვი-რუბინი ......... 3:1
ზენიტი-ვოლგა ......... 3:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-სელტიკი ......... 0:4
როსი-ინვერნესი ......... 1:0
სტ.ჯონსონი-მოზერველი ......... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-რიდი ......... 3:1

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ვარეგემი ......... 1:1
ბრიუგე-გენკი ......... 1:0
სტანდარდი-ლოკერენი ......... 4:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-იანინა ......... 0:1
ასტერასი-ატრომიტოსი ......... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ელაზიგი-სივასი ......... 0:0
გენჩლერი-ბურსა ......... 2:2
ქაისერი-ბეშიქთაში ......... 2:0
ესკიშეჰირი-ანთალია ......... 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ბელხატუვი-ზაგლებიე ......... 3:2
კორონა-იაგელონია ......... 5:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალურგი(ზ)-შახტარი ......... 3:3
ილიჩევეცი-ზორია ......... 1:2
მეტალურგი(დ)-ჩერნომორეცი ......... 2:0
მეტალისტი-დნიპრო ......... 2:1
ტავრია-დინამო ......... 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰეკენი-გეფლე ......... 2:2
ესტერი-აიკი ......... 2:3
გიოტებორგი-კლამარი ......... 2:0
ნორჩიოპინგი-ატვიდაბერგი ......... 2:1
დიურგარდენი-ჰალმშტადი— ......... 1:0

**აშშ. მლს**

ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი ......... 1:0
დ.ს.იუნაიტედი-კანზასი ......... 1:1
ჩივასი-სოლტ ლეიკი ......... 1:4

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ინდეპენდიენტე-სან ......... მარტინი 3:1
უნიონი-რივერ პლეიტი ......... 2:2
ოლ ბოიზი-სან ლორენცო ......... 0:3

### კალათბურთი

**ნბა. პლეი ოფი**

სან ანტონიო-მემფისი ......... 105:83

**სერიის ანგარიში: 1:0**

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი ოფი**

ოტავა-პიტსბურგი ......... 2:1(ოტ)

**სერიის ანგარიში: 1:2**

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ვინ შეაჩერა ბერას სტუდიის მშენებლობა?

ეკა ირემაშვილი

ქართველი თინეიჯერების გულთამპყრობელის, ბერა ივანიშვილის ხმის ჩამწერი სტუდიის მშენებლობა შეჩერებულია. მშენებლობა, რომელიც ყოფილი ბოტანიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, თბილისის მერიის განცხადებით, სრულიად უკანონო იყო.

თბილისის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ კოჯრის გზატკეცილის №13-ში სამშენებლო ან მიწის სამუშაოების დაწყების ნებართვა თბილისის მერიას არ გაუცია. ყოფილი ბოტანიკის ინსტიტუტის მიმდებარე, 33000 კვ.მ ფართობის ტერიტორია მთლიანად სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ საკუთრებაა და ამ ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი ძველი ნაგებობის რეკონსტრუქცია თბილისის მერიის ნებართვით ორი წლის წინ მოხდა.

თბილისის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ ყოფილი ბოტანიკური ინსტიტუტის მიმდებარე 33000 კვ.მ ფართობის ტერიტორია კანონით მშენებლობისთვის ვარგისია და ნებართვის შემთხვევაში მშენებლობის წარმოება მასზე ნებადართულია.

ამჟამად უკვე ექსპლუატაციაში შესულია შენობის პროექტი, რომელშიც ტელევიზია „ჯიდიესია“ განთავსებული. 4-სართულიანი შენობის პირველი სართული მიწის ზევით არის, დანარჩენი 3 კი, მიწის ქვეშ. ობიექტის – არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია სასტუმროს ფუნქციით და მრავალფუნქციური გასართობი სამაყურებლო ცენტრი თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებულია და მშენებლობის სანებართვო მოწმობა დამკვეთ „ქართუ ჯგუფზე“ მერიას 2011 წლის 29 სექტემბერს აქვს გაცემული.



ალნიშნულ ტერიტორიაზე უკვე არსებულ შენობაში, ამჟამად ტელეკომპანია „ჯიდიესი“ მაუწყებლობს. უკანონო მშენებლობა კი ტელევიზიის შენობის გვერდით დაიწყო და უკვე არსებული შენობის დამხმარე ნაგებობად მოიაზრება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია „ქართუ ჯგუფის“ კუთვნილებაა, მერიისგან ნებართვის აღების სამეტაპიანი პროცედურა მას გავლილი არ აქვს.

ამ ტერიტორიაზე სამუშაოები აპრილის თვეში დაიწყო. ამ პერიოდში თბილისის მერიას დამკვეთზე ჯერ მხოლოდ არქიტექტურულ გეგმარებითი დავალება ჰქონდა გაცემული. ეს უკანასკნელი იძლევა ძირითად პარამეტრებს, რის საფუძველზეც დამუშავებულ უნდა იქნას უკვე კონკრეტული პროექტი, თუმცა პროექტი თბილისის მერიამ უნდა დაამტკიცოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები.

იმ ნაგებობის პროექტი, რომლის აშენებაც ტელეკომპანია „ჯიდიესის“ გვერდით იგეგმებოდა, მერიაში „ქართულ ჯგუფის“ ნოდარ ჯავახიშვილის სახელით არის დაფიქსირებული.

ამ მშენებლობის ამსახველი ფოტო მასალა სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ პირველად მარტის ბოლო რიცხვებში გავრცელდა სპეციალური ჯგუფის „საცხოვრებელი ყველას“ მიერ.

მაშინ ბერას მენეჯერს განმარტებების განცხადება მოუწია და აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე ხმის ჩამწერი სტუდიის მფლობელობაში შესული შენობების რეკონსტრუქცია დაიწყო და მეტი არაფერი.

არ არის გამორიცხული პროექტის დამტკიცებამდე მშენებლობის დაწყების გამო, თბილისის ზედამხვედველობის სამსახურმა სანქციებიც დააწესოსო, თუმცა შეეხება თუ არა ეს სანქციები ყველასთვის საყვარელ ბერა ივანიშვილს, ჯერჯერობით უცნობია.

თბილისის მერია ამ ფაქტს ოფიციალური წერილით პასუხობს:

„თბილისში, კოჯრის გზატკეცილი სტელა-თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები დღეის მდგომარეობით არ მიმდინარეობს. დამატებით განვმარტავთ, რომ უნებართვო მშენებლობის წარმოება წარმოადგენს სამშენებლო სამართალდარღვევას და იწვევს „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ განსაზღვრულ პასუხისმგებლობას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სამსახურის მიერ გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“.

სამუშაო პროცესი კოჯრის გზატკეცილის № 13-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ამჯერად შეჩერებულია. სამუშაოების შეჩერებამდე მოხდა კლდის მასიური მასივის გაჭრა და ტრაქტორისა და სამშენებლო ტექნიკისთვის სამოძრაო გზის გაყვანა.

აღნიშნული ფაქტი რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია ტფილისის ჰამქარს. მათ სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განცხადება გაავრცელეს, სადაღც აღნიშნეს, რომ:

„მიუღებელია ნებისმიერი სახის მშენებლობა თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე“.

მშენებლობის დაწყების თარიღად 2011 წლის სექტემბერია აღნიშნული, დამთავრების თარიღად კი 2013 წლის სექტემბერი. თუმცა გაგრძელდება თუ არა მშენებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

# ხელნაწერთა ცენტრი საექსკურსიო ტურს იწყებს

ეკა ირემაშვილი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 24 მაისის ჩათვლით, მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართება საექსკურსიო ტური „მოგზაურობა ხელნაწერთა სამყაროში“. პროგრამის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჩართვა ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებში; ცენტრის მეგობართა წრის გაზრდა; მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოების ხელშეწყობა; ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.

როგორც ხელნაწერთა ცენტრში აცხადებენ, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები; მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების აღსაზრდელები; სამივე საფეხურის სტუდენტები; ოჯახები ბავშვებით; მოზრდილები.

– პროგრამის მონაწილეები დაათვალიერებენ ცენტრს, გაეცნობიან სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სპეციფიკას პროგრამით გათვალისწინებული მარშრუტის (მარშრუტები ვარიანტულია) შესაბამისად: საგამოფენო დარბაზი და გამოფენა, მემორიალური კაბინეტი, დიგიტალიზაციის ლაბორატორია და რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორია; მონაწილეობას მიიღებენ რესტავრაციის „ვორქშოპში“ – დაზიანებული ფურცლის რესტავრაცია; აკინძვა. რაც შეეხება პროექტზე ჩაწერის პროცედურას, პროექტში მონაწილე ჯგუფების რაოდენობა შეზღუდულია. საჭიროა წინასწარი დარეკვა და ჩაწერა. ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 15-18 მოსწავლით, – აღნიშნულია ხელნაწერთა ცენტრის განცხადებაში..

ხელნაწერთა ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში ცენტრსა და სატელეკომუნიკაციო კომპანია ბილაინს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ბილაინის მხარდაჭერით იწყებს პროექტს სახელწოდებით: „საქართველოს რეგიონებში დაცული ხელნაწერები: მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა“ (ქართულ და ინგლისურ ენაზე).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უკვე მესამედ აცხადებს მიღებას ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში „ქართული დამწერლობა“. საზაფხულო სკოლა განკუთვნილია ქართული კულტურით, განსაკუთრებით, ქართული დამწერლობით და ხელნაწერი მემკვიდრეობით, ასევე, მედიევალური კვლევებით დაინტერესებულ უცხოელთათვის. ახალი საზაფხულო სკოლის გახსნამდე კი კორნელი კეკელიძის სემინარზე წარმოდგენილ იქნა ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული დამწერლობა“: 2012 წლის ანგარიში და განვითარების პერსპექტივები;

2013 წლის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის პროგრამა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კონკურსების გამარჯვებული გახდა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ 2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგები დაამტკიცა. შედეგად გამარჯვებულ პროექტთა შორის არის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი პროექტით – II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“. საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგები ასე გამოიყურება: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ 2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგები დაამტკიცა. კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, მსოფლიო პროცესებში მათ ინტეგრირებას. სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკონკურსოდ დარეგისტრირდა 65 განაცხადი. საკონფერენციო გრანტების 2013 წლის კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებლად 31 პროექტი შეირჩა.

# თენგიზ უთმელიძე 75 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**თენგიზ უთმელიძე, მოცეკვავე, იუბილარი:**

– ეს არის ჩემი საიუბილეო საღამო, სადაც გამოვა სამი აკადემიური ანსამბლი, ცნობილი ფოლკლორული მომღერლები. იმღერებენ ლიზა ბაგრატიონი, გიორგი უშიკიშვილი, ვიდეოკოლაჟები გაკეთდება და იქნება მხოლოდ ერთი გამომსვლელი – ფრიდონ სულაბერიძე. ის ისაუბრებს როგორც ჩემი კოლეგა, დიდი სურვილი აქვთ და შეიძლება გამოვიდნენ მაყვალა გონაშვილი, გოგი ქავთარაძე და ჩოხოსანი გოგი დოლიძე.

*– საიუბილეო საღამოში მონაწილე ანსამბლები როგორ შეარჩიეთ?*

– სამი აკადემიური ანსამბლი შევარჩიეთ: „სუხიშვილები“, „რუსთავი“ და „ერისიონი“. ამ საღამოში ასევე მონაწილეობას მიიღებს ჩემი სახელობის ანსამბლი „ივერია პლიუსი“.

*– თბილისში ფუნქციონირებს ეს ანსამბლი?*

– კი, თბილისში, ერთ-ერთ სკოლასთან ფუნქციონირებს. ამ ანსამბლის ხელმძღვანელი რეზო ბერაძეა. უკვე ორი წელია ამ ანსამბლს ჩემი სახელი მიენიჭა და ეს ჩემთვის დიდი პატივია.

*– გიყვართ იუბილეები?*

– საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ 25 მაისისთვის ვემზადებოდი, როცა პროფკავშირებში უნდა ჩატარებულიყო საქართველოში მოღვაწე ქორეოგრაფიული ანსამბლების დათვალიერება-ფესტივალი. ნამდვილად ვიცოდი, რომ ეს ღონისძიება ჩემს იუბილეს ეძღვნებოდა, მაგრამ ასეთ სიურპრიზს თუ გამიკეთებდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და ფოლკლორის ცენტრი, ნამდვილად არ მოველოდი. ამ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს რეგიონებში მოღვაწე ქორეოგრაფიული ანსამბლები. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემს იუბილეზე კიდევ ერთხელ ვისაუბრო დიდ ნინოზე და ილიკოზე, რომლებმაც ჩემს ცხოვრებაში უდიდესი კვალი დატოვეს, ვისაუბრებ ჩემს პარტნიორებზე, მოცეკვავეებზე. წარვუდგენ შეკრებილ საზოგადოებას ჩემს ფოტო და ვიდეო კოლაჟებს. მარჯანიშვილის თეატრში ღონისძიება ნახევარი საათით ადრე დაიწყება, რადგან დაგეგმილია ჩემ მიერ გამოცემული წიგნის „სუხიშვილები – რომანტიკული ფოტომატიანე“ წარდგინება. რა იქნება და როგორ, ამის თქმა წინასწარ არ შემიძლია, ალბათ ყველაფერი კარგად ჩაივლის.

ეკა ირემაშვილი

# ბერტა ხაფავასა და ლადო მექვაბიშვილს ვარსკვლავები გაუხსნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სკვლავი, ამჯერად მის გვერდით ბერტა ხაფავასა და ლადო მექვაბიშვილის ვარსკვლავები გაიხსნა. როგორც თეატრის ხელმძღვანელი აღნიშნავს, მალე თეატრის წინ კიდევ არაერთი ღვაწლმოსილი ხელოვანის სახელი და გვარი ამოიტვიფრება.

ბერტა ხაფავა თეატრის წინა მმართველმა თეატრიდან გაუშვა, მიზეზად კი მსახიობის თეატრში არასათანადოდ დასაქმება დაასახელა. ღვაწლმოსილი მსახიობი, რომელსაც პარალელურად ქართულ კინოშიც 50-მდე ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული, გარკვეული პერიოდი საყვარელი საქმის გარეშე დარჩა და თეატრში დაბრუნებას ათეულობით თეატრიდან გაშვებულ მსახიობთან ერთად უშედეგოდ ითხოვდა. თეატრში ახალი მმართველის მოსვლის შემდეგ, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა და ყველა გაშვებული მსახიობი დიმიტრი ხვთისიაშვილმა თეატრში დააბრუნა და კონტრაქტებიც გაუფორმა, თუმცა დასმა კარგად იცის, რომ საჭიროა კონკურსის ჩატარება, რათა თეატრში დარჩეს ის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც თეატრისთვის რეალურად არის საჭირო.

ლადო მექვაბიშვილსაც საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. მან თეატრში ათეული წელი გაატარა და მის სპექტაკლებზე თაობებია აღზრდილი. 85 წლის მსახიობი მუშაობისთვის ახლაც მზად არის. ლადო მექვაბიშვილი თეატრის გარდა, ქართულ ფილმებშიც არის გადაღებული. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი ზაზა კოლელიშვილის „ომი და ქორწილი“ იყო.

– მიუხედავად იმისა, მომწონს თუ არ მომწონს ეს ვარსკვლავომანია, ჩვენც უნდა ავყვეთ ამ ფერხულს, რადგან თეატრის დასში არის რამდენიმე მსახიობი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა. ერთ-ერთი უპირველესი გახლავთ ბატონი რეზო თავართქილაძე. სწორედ მისი ვარსკვლავით დაიწყო ჩვენი თეატრის წინ ვარსკვლავური ალეა. ის აღმოჩნდა პირველი მერცხალი. მას კი მოყვნენ ბერტა ხაფავა და ლადო მექვაბიშვილი. 85 წლის ლადო მექვაბიშვილმა, ისევე როგორც 85-86 წლების სეზონში „კუკარაჩას“ პირველ სპექტაკლში ბაბაიანცის როლი კვლავაც ითამაშა. ამიტომ მგონია, რომ ეს ამ ადამიანებისთვის ყველაზე დიდი სითბოს და სიყვარულის გამოხატულებაა, – აღნიშნა თეატრის მმართველმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მონარქის ტიტული სპარსეთში; 2. მარგალიტების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 3. ვენესუელას დედაქალაქი; 4. ნაბიჯი ბალეტში; 5. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი; 6. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 7. მსუსხავი ბალახი; 10. ფრანგი მოქანდაკე ქალი; 11. აეროპორტი რომში; 12. მოლიერის კომედია; 13. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 16. სევდიანი, ლირიკული ლექსი; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 19. მარჯვე ეფექტური ილეთი; 21. საქონლის საერთო წონა შეფუთვიანად; 22. განსაზღვრული ვადითა და პირობით გაცემული სესხი.

**თარაზულად:** 1. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. ყურე საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე; 9. გვერდითი დარტყმა კრივში; 14. ქართველ მეთევზეთა უძველესი შრომის სიმღერა; 15. საკონტაქტო სადენიდან დენის მიმღები მოწყობილობა ტროლეიბუსზე, ტრამვაიზე; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. სინათლის სიკაშკაშის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 23. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 25. ქართული ტელეკომპანია; 26. ქალაქი ქართლში; 27. შტატი ბრაზილიაში; 28. რეცეპტის პირი, რომელიც თან ახლავს აფთიაქიდან გაცემულ წამალს.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კლიმატი; 5. ბალბა; 7. ვაქცინა; 9. რევიზია; 10. ინდაური; 13. ნაპრალი; 14. ვარანი; 15. მინა; 19. დარიალი; 20. ვალიდოლი; 21. კარდინალი; 22. ვასალი.

**შვეულად:** 1. კვირტი; 2. მარილი; 3. კასანდრა; 4. ანანკე; 6. ბარიტონი; 8. პიტონი; 11. ბაზილიკა; 12. ბიგამია; 16. პასტა; 17. ვარია; 18. კარტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მისის; 2. მა; 3. სარაცენია; 4. ჟერარ; 5. რა; 6. იმპერიალი; 7. მაცა; 8. გარაჟი; 9. სე; 10. საჟენი; 11. სარა; 12. აპეური; 13. მის; 14. იასაული; 15. მირგოროდი; 16. პირანია; 17. გრეკო; 18. გეო; 19. ილი; 20. იდალგო; 21. იან; 22. არტურ; 23. ფლორა; 24. ტამანგო; 25. ბანი; 26. საია; 27. ტროა; 28. ან; 29. დო; 30. ნანკა; 31. ნიასა; 32. ონდატრა; 33. კომონერი.

**სურათებზე:** სარა ჯესიკა პარკერი; კლაუდიო ლოპესი.

# პოლიტიკურმა სკანდალებმა ობამას რეიტინგზე გავლენა ვერ მოახდინეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა სკანდალებმა ქვეყნის პრეზიდენტის ბარაკ ობამას რეიტინგზე გავლენა ვერ იქონიეს. მოსახლეობის გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც ამერიკელე-



ბის 53%-მა პრეზიდენტის ნაბიჯები დადებითად შეაფასა, სი-ენ-ენმა ჩაატარა.

უკანასკნელი კვირა ბარაკ ობამასთვის საკმაოდ მძიმე გამოდგა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა, თავი ემართლებინა ბენგაზაში მომხდარი ტერაქტის შედეგად საელჩოს ოთხი თანამშრომლის დაღუპვის, საგადასახადო სამსახურის ყოფილი უფროსისა და სააგენტო „ასოშიეტიდ პრესის" ჟურნალისტების გარშემო ატეხილი სკანდალების გამო.

კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 53% ბარაკ ობამას ქმედებებს აღნიშნულ თემებთან მიმართებაში გამართლებულად მიიჩნევს, ხოლო უარყოფით შეფასებას აძლევს 45%. გარდა ამისა, გამოკითხულთა 70% აცხადებს, რომ ობამას ახსნა-განმარტებები მათთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის საგადასახადო სამსახურმა ოპოზიციური ჯგუფების განსაკუთრებით დაწვრილებით შემოწმება მოახდინა. პრეზიდენტის თქმით, ამის შესახებ მან მოსახლეობის მსგავსად მედიისაგან გაიგო. ობამამ მომხდარს „მიუღებელი" უწოდა. მალევე საგასახადო სამსახურის მაღალჩინოსნების თანამდებობიდან წასვლის შესახებ გახდა ცნობილი.

ბოლო სატელეფონო გამოკითხვაში ამერიკის 923 სრულწლოვანი მოქალაქე მონაწილეობდა.

**მოამზადა**
**გერა მამულაშვილმა**

# ავიაკომპანიის შეცდომის გამო ტურისტი ცოლ-ქმარი სხვა კონტინენტზე გაფრინდა



ავიაკომპანია „თურქიშ ეარვეისის" შეცდომის გამო, აფრიკისკენ მიმავალი ამერიკელი ტურისტები მსოფლიოს სხვა კუთხეში აღმოჩნდნენ. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ავიაკომპანიაში აეროპორტების კოდები აურიეს ერთანეთში. წერს „დეილი ტელეგრაფი". შედეგად, მეუღლეები სენდი ვალდივიზიო და მისი ქმარი ტრაიეტ ვო, რომლებიც ლოს-ანჟელესიდან სენეგალში, ქალაქ დაკარში მიფრინავდნენ, აღმოჩნდნენ დაკეში – სამხრეთ აზიაში, ბანგლადეშის დედაქალაქში.

დაკარის აეროპორტის კოდია „დკრ", ხოლო დაკეს აეროპორტის – „დაკ". წყვილის თქმით, როდესაც სტიუარდესამ გამოაცხადა, რომ ისინი დაკესკენ მიემართებიან, გადაწყვიტეს, რომ მან „დაკარი" თურქული აქცენტით წარმოთქვა.

როდესაც თვითმფრინავი მართლაც ბანგლადეშის დედაქალაქში დაეშვა, წყვილმა ავიაკომპანიას შეცდომის შესახებ აუწყა. მაგრამ „თურქიშ ეარვეისში" შეცდომის აღიარებას არ ჩქარობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი გასული წლის დეკემბერში მოხდა, მის შესახებ ფართოდ ცნობილი გახდა მხოლოდ ახლა, მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა კომპენსაციის მისაღებად დიდი ძალისხმევა გაწიეს.

თავის მხრივ, ავიაკომპანიამ მომხდარის გამო სინანული გამოთქვა. პრესმდივნის თქმით, წყვილს ეკონომიკური კლასის ორი უფასო ბილეთი მისცეს ნებისმიერი მიმართულებით, რომელიც ავიკომპანიის მარშრუტების ქსელში შედის.

# ეგვიპტე ტურისტული ვიზის მოსაკრებელს 10 დოლარით აძვირებს



პირველი ნოემბრიდან ეგვიპტე ტურისტული ვიზების მოსაკრებელს 10 დოლარით აძვირებს და შესაბამისად ვიზა ყველაზე იაფი 15 დოლარის ნაცვლად, 25 დოლარი ეღირება. ეგვიპტის ტურიზმის მინისტრი დარწმუნებულია, რომ მოსაკრებლის გაძვირებით, ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა არ შემცირდება.

2011 წლის მოვლენების შემდგომ ქვეყანში უცხოელი ტურისტების რაოდენობა შემცირდა, თუმც ბოლო პერიოდში ტურისტების ზრდა შეინიშნება. 2012 წელს ქვეყანას 11,5 მლნ ტურისტი სტუმრობდა, რაც 17 %-ით მეტია 2011 წლის მონაცემებზე.

აღასანიშნია, რომ ეგვიპტე ერთ-ერთი მუსლიმური ქვეყანაა, რომელიც აქტიურადაა ჩართული ტურისტულ სფეროში. ეს დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შემოსავლების მეტი წილი სწორედ ამ სფეროზე მოდის.

კაირო ეგვიპტის დადაქალაქი, ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია მსოფლიოში. წარმოადგენს არაბული სამყაროს კულტურულ და კომერციულ ცენტრს. ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქია აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. იგი გაშენებულია ნილოსის ნაპირზე, წარმოდგენილია მაღალი შენობებით, აქ არის საუკეთესო სასტუმროები, მაღაზიები, რესტორნები.

კაიროს თანამედროვე ცენტრად ითვლება ალ-ტაჰრირის მოედანი, აქ არის ყველა ძირითადი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის შტაბბინა. აღსანიშნავია არაბულ სახელმწიფოთა ლიგა.

ტურისტების ყურადღებას იქცევს კაიროს ეროვნული მუზეუმი. სადაც ძველი ევიპტის ფარაონების, ბერძნულ-რომაული პერიოდის საგანძურია დაცული. 155 ათასი ექსპონატს შორის არის ფარაონ ტუტანხამონის აკლდამის საგანძური.

# ლიტვური ინტერნეტგამოცემა აზერბაიჯანს „ევროვიზიის" ხმების ყიდვაში ადანაშაულებს




ერთ-ერთი ლიტვური ინტერნეტ გამოცემა აზერბაიჯანს „ევროვიზიის" ხმების ყიდვაში ადანაშაულებს. ინტერნეტ გამოცემამ მოსყიდვის დამადასტურებელი ვიდეომასალაც წარმოადგინა, რომელიც ფარულად არის ჩაწერილი.

როგორც აღმოჩნდა, რედაქციას ორმა სტუდენტმა მიაკითხა და საინტერესო ამბავი შეატყობინა. მათ ვილნიუსში თეთრ ხიდთან ერთი ადამიანი მიუახლოვდა და სამსახური შესთავაზა. საჭირო იყო „ევროვიზია 2013"-ის აზერბაიჯანელი მონაწილისთვის ხმის მიცემა. თითო ხმაში ისინი 20 ევროს მიიღებდნენ, თან ხმას უკვე ფულით შევსებული მობილურიდან მისცემდნენ.

სააგენტოს ჟურნალისტებმა ფარული კამერა დაიმაგრეს და ამ „სამსახურზე" წავიდნენ. მათ საუბარი ჩაიწერეს. მათ კითხვების დასმა არც დასჭირდათ, „დამსაქმებელმა" ყველაფერი მოჰყვა. მისი თქმით, საჭირო იყო ქალაქის სხვადასხვა ადგილიდან ხმის მიცემა, რათა მობილურის ოპერატორებს ეჭვია არ გასჩენოდათ.

საუბრის ბოლოს ჟურნალისტი „დამსაქმებელს" ეკითხება „რა ღის ევროვიზიაში გამარჯვება?". პასუხად იღებს, რომ ის მხოლოდ ლიტვაზე იყო პასუხისმგებელი, თუმცა საერთო ჯამში მილიონებზეა საუბარი. „ეს ხომ პოლიტიკაა" დაამატა მან.

ლიტვამ აზერბაიჯანს 12 ქულა დაუწერა.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 21 მაისი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „თანამედროვე სნაიპერი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „აქცენტები„ 23.00 მხ/ფ „300„ 01.30 დ/ფ „ნამდვილი პანამა„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 3 ნაწ. 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 4 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 22.00 „არგუმენტების დრო„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „ვია – 75„ 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) 00.15 მხ/ფ „საბილიარდო„ (რ.სანჩესი) 02.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „გრიმი„ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი - „ეზოში ავი ძაღლია„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „იმერული ესკიზები„ 13.25 კონცერტი - სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „პირიქითა ხევსურეთი„ 16.00 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.25 მხ/ფ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩემი ქვეყანა 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.30 დოკ/ფ „თამარ ნუცუბიძე„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრეს-პრესი„(გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე დოდო ბურჯანაძე, შვილები ეკა, თიკა, სიძეები ლადო ჯავახიშვილი, გია ბეჟანიშვილი, შვილიშვილები ლაშა, ანდრია, ნათია, ნინო, ანა, ლიზი, რძლები ზინა დინერი, ნანა, და ლუდა შავდია, ძმისშვილები მარიკა, ნინო, ცოლისდები აზა, იზა, რძალი ლია სამხარაძე, სიძე ვახტანგ დუნდუა, ცოლის დისშვილები თამრიკო, ხათუნა, ცოლის ძმისშვილები სოფო, ანდრო, ხათუნა, დისშვილები ვახტანგ, პეტრე, ამირან, ნანა გვანცელაძეები, მძახლები ჯული ბეჟანიშვილი და თემურ ჯავახიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვიქტორ (ბადრი) შავდია**

პანაშვიდი 19 და 20 მაისს.
გამოსვენება 21 მაისს.
მის. ნუცუბიძის ფერდობი, მე-4 მ/რ, კორპუსი 28, პირველი სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა 25 (გერმანულ სკოლასთან).

ალეკო ხუნდაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი და სათნო ქალბატონი

**ლილი ტატიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 21 მაისს, 14 საათზე.
მისამართი: ილია ჭავჭავაძის ქ №19, მე-2 სადარბაზო.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა ცენტრის თანამშრომელი

**ხათუნა ოთარის ასული ჭურღულია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



## იზო ხვიჩიას ხსოვნას

საოჯახო მედიცინის ცენტრ „აფხაზეთის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ კოლექტივის წევრი, მედდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილე, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ყველასათვის საყვარელი და კეთილშობილი ადამიანი

**იზო ხვიჩია**

ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში იზო, ჩვენი „ჩიტი", დარჩება, როგორც ხალისიანი, იუმორითა და სიყვარულით სავსე, თავის სამშობლოზე და ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

ღმერთს ვთხოვთ, მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი სული ზეციურ სასუფეველში.

**საოჯახო მედიცინის ცენტრ „აფხაზეთის" კოლექტივი.**



მეუღლე რავა, შვილები ნესტანი და რაინდი, დები ზაირა, მზიური, იავლინა, ძმები კოტე, ლეონიდე, გენო, ცოლისძმა ბოჩია წულაია, სიძე იური ლაგვილავა, რძლები ციალა, მიმოზა, ირინე, დეიდაშვილები ზურაბ, თინა, ნინო ჩხაიძეები, ვლადიმერ ძარია, მამიდაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რაჟდენ ელიზბარის ძე როდონაია**

პანაშვიდი 20 მაისს, 17 საათზე.
დაკრძალვა სამშაბათს, 21 მაისს.
გამოსვენება საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრიდან 15 საათზე.

შვილები ნინო, ეკა კვიტაშვილები, სიძე გიორგი ცაგარეიშვილი, შვილიშვილები ზურაბ და ირინა ცაგარეიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მათიკო ჩქარეული**

პანაშვიდები 21, 22 მაისს, 17 საათზე.
გამოსვენება 23 მაისს, 15 საათზე ამაღლების ტაძრიდან (საბურთალოს სასაფლაო).

ციცო მედულაშვილი, ნანა ბოკუჩავა, მანანა ასათიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბავშვობის უახლოესი მეგობარი

**მათიკო ჩქარეული**

უფალმა აამაღლოს ზეციურ სამუდამო სასუფეველში ძვირფასი დედისა და ბებიის, კეთილშობილი, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით სავსე პიროვნების, ერთგული მეუღლისა და მეგობრის ნათელი, სპეტაკი სული!

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6360

ევრო — 2,1049

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4938

100 რუსული რუბლი — 5,2113

## ამინდის პროგნოზი 21 მაისისთვის





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## ლამპარდი და ექვსეული



როგორც უკვე ვწერდით, ფრენკ ლამპარდი „ჩელსის“ ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მის გარდა 100 გოლს კიდევ 6 ფეხბურთელია გადაცილებული.

60-იანი წლების ლეგენდარული ინგლისელი ფორვარდი ჯიმი გრივზი ცნობილია „ტოტენჰემში“ თამაშით, მაგრამ მანამდე „ჩელსიში“4 წელი დაჰყო და 169 მატჩში 132 გოლი გაიტანა.

კიდევ ერთმა შესანიშნავმა ფორვარდმა პიტერ ოსგუდმა სანაკრებო დონეზე ბევრს ვერაფერს მიაღწია, მაგრამ ლონდონური კლუბის ერთ-ერთ ლეგენდად იქცა. მან 380 მატჩში 150 გოლის გატანა მოახერხა. „ჩელსისთან“ ერთად მან 1965 წელს ლიგის თასი, 1970 წელს ინგლისის თასი და 1971 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო.

1954-55 სეზონში „ჩელსიმ“ პირველად მოიგო პრემიერლიგა და გახდა ინგლისის ჩემპიონი. კაპიტანი, საუკეთესო ბომბარდირი და გუნდის მთავარი ვარსკვლავი როი ბენტლი გახლდათ. მან „არისტოკრატების“ შემადგენლობაში 12 წელი გაატარა 367 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 150 გოლის გატანა შეძლო.

მე-4 ბომბარდირი „ჩესლის“ ისტორიაში დიდიე დროგბაა, რომელმაც გუნდი გასულ წელს დატოვა. დროგბამ კლუბში 8 წელი გაატარა. მან მთელი ამ დროის განმავლობაში 341 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 157 გოლი გაიტანა. დროგბამ „ლურჯებთან“ ერთად 12 ტიტულიც მოიპოვა.

კერი დიქსონს განსაკუთრებული ტიტულები არ მოუგია, მაგრამ ის ყველაზე პროდუქტიული ფეხბურთელი იყო 80-იან წლებში. მან 420 მატჩში 193 გოლი გაიტანა.

ბობი ტემბლინგი – ადამიანი, რომელიც 10 დღის წინ „ჩესლის“ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი იყო. მას 370 მატჩში 202-ჯერ ჰქონდა მეტოქის კარი აღებული.

და აი ისიც, საუკეთესო – ფრენკ ლამპარდი. „ასტონ ვილას“ კარში გატანილი დუბლის წყალობით მას „არისტოკრატების“ შემადგენლობაში 203 გატანილი ბურთი დაუგროვდა, რითაც კლუბის საუკეთესო ბომბარდირობა ჩამოართვა ტემბლინგს. ლამპარდმა კლუბის მაისურით 606 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 203 გოლი გაიტანა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ფრენკი მოქმედი ფეხბურთელია და კიდევ შეძლებს „ლურჯების“ გახარებას.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 21 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე სიახლეს მოგიტანთ

**ვერძი** – წარმატება და სასიამოვნო სიახლე გელოდებათ. **კურო** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, გელით სასიამოვნო შენაძენი. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – თავს კარგად გრძნობთ, საღამო მშვენიერი იქნება. **ქალწული** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **სასწორი** – ახალ ამბებს გაიგებთ, გაგიხარდებათ. **ღრიანკალი** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, იმედიანად ხართ. **თხის რქა** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **მერწყული** – საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, თანაც წარმატებით. **თევზები** – პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, ბედი გწყალობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პირველი შვილი; 2. საკათედრო ტაძარი თბილისში; 3. ავტოდრომი მილანის მახლობლად: 5. ციხე-სიმაგრე ზუგდიდის რაიონში; 6. სვან მამაკაცთა ცეკვა; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 13. მოდური სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 14. ნახტომი ბალეტში; 15. ასაკოვანი უცოლშვილო მამაკაცი; 19. წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველოში; 4. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი ძველ რომში; 7. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. სხვადასხვა ქსოვილის ნაკუწებისაგან შეკერილი ტანსაცმელი; 10. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 12. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 16. სათამაშო სახლი, კაზინო; 17. მუსლიმანთა რელიგიური სამართალი; 18. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 20. ღრმა ძილის მდგომარეობა; 21. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## პლანეტის უმდიდრეს ადამიანად ბილ გეითსი დასახელდა

„მაიკრსოფტის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ბილ გეითსი პლანეტის უმდიდრეს ადამიანად დასახელდა. მან საკუთარი ქონებით უკვე გადაუსწო ამ რეიტინგის წინა წლის ლიდერს, მექსიკელ მაგნატს კარლოს სლიმს. ბილ გეითსი ამ რეიტინგის სათავეში ბოლოს 2007 წელს იყო.

57 წლის ბილ გეითსის ქონებამ 72,7 მლრდ დოლარს მიაღწია, შესაბამისდ,ა მას 550 მლნ დოლარით მეტი ქონების მფლობელია, ვიდრე მისი მთავარი კონკურენტი კარლოს სლიმი.



„ბლუმბერგის“ მიერ შედგენილ რეიტინგში მესამე ადგილზე ამერიკელი ინვესტორი უორენ ბაფეტია, რომლის ქონებაც 59,6 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

ცნობისთვის, „მაიკროსოფტში“ დასაქმებულია 78 000 ადამიანი მსოფლიოს 105 ქვეყანაში, სადაც კომპანიას საკუთარი წარმომადგენლობები აქვს.

ბილ გეითსი თავის ორ დასთან ერთად ქალაქ სიეტლში გაიზარდა. მამამისი, უილიამ გეითს მეორე, იყო სიეტლის რწმუნებული, ხოლო დედა, მერი გეითსი, სკოლის მასწავლებელი და ვაშინგტონის უნივერსიტეტის მმართველთა წევრი.

ბილ გეითსმა ინტერესი კომპიუტერული პროგრამების მიმართ 13 წლის ასაკში გამოამჟღავნა.

1973 წელს ის ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მაგრამ ძალიან მალე დატოვა სასწავლებელი, რათა მთელი ენერგია „მაიკროსოფტის“ განვითარებისათვის გამოეყენებინა. მან თავისი საქმიანობა 1975 წელს, ბავშვობის მეგობარ პოლ ალენთან ერთად დაიწყო.

გ. მ.

## თენგიზ უთმელიძე 75 წლისაა

**ცნობილი მოცეკვავე თენგიზ უთმელიძე 75 წლისაა. მის იუბილესთან დაკავშირებით, 21 მაისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო.**




ცნობილი მოცეკვავე-მსახიობის, ჟურნალისტის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და მეცნიერების აკადემიის ნამდვილი წევრის თენგიზ უთმელიძის საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებს სამი ქორეოგრაფიული ანსამბლი – „სუხიშვილები“, „ერისიონი“ და „რუსთავი“.

ღონისძიების ორგანიზატორი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და ფოლკლორის ცენტრია. როგორც მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, თენგიზ უთმელიძე 1957 წელს, მოსკოვის სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-6 ფესტივალში მონაწილეობის შემდეგ, ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა მიიწვიეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში მსახიობ-მოცეკვავედ. თენგიზ უთმელიძე „სუხიშვილებში“ ჩამოყალიბდა ერთ-ერთ წამყვან სოლისტად და პროფესიონალ მოცეკვავედ. გამორჩეულია მისი სოლო პარტიები ცეკვებში: „ხევსურული სუიტა“, „ხორუმი“, „ჯეირანი“, „წყაროსთან“, „დავლური“, „ხონგა“, „ლელო“... განსაკუთრებული აღიარება და პოპულარობა მოუტანა ცეკვა „ქართულმა“, რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდა ლეგენდარულ ნინო რამიშვილთან ერთად. თენგიზ უთმელიძის ცეკვა გამოირჩეოდა დახვეწილი არტისტიზმით, შესრულების მაღალი კულტურით, სცენური გარდასახვის უნარით, კეთილშობილებითა და ტემპერამენტით.

თენგიზ უთმელიძემ „სუხიშვილებში“ ჩვიდმეტწლიანი მოღვაწეობისას დიდი წარმატებით მოიარა მსოფლიოს 70-მდე ქვეყანა. მან შესანიშნავად შეუხამა ერთმანეთს ინჟინრისა და ჟურნალისტის პროფესია. მის მიერ უცხოეთიდან ოპერატიულად გამოგზავნილ წერილებსა და ფოტორეპორტაჟებში აისახა ანსამბლის ტრიუმფალური გამოსვლები საზღვარგარეთ. თენგიზ უთმელიძემ შექმნა „სუხიშვილების“ შემოქმედებითი მოღვაწეობის უნიკალური ფოტომატიანე, რომელიც წარმატებით გამოიფინა საქართველოს მრავალ ქალაქში, მათ შორის 2011 წელს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში. გადაიღო დოკუმენტური ფილმები 1970 წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში „სუხიშვილების“ ტრიუმფალური გასტროლების შესახებ. ქართული კულტურის თემაზე დაწერა და გამოაქვეყნა 200-ზე მეტი წერილი, სტატია, ნარკვევი, ნოველა. გადაღებულია ქართულ მხატვრულ ფილმში „ეთერის სიმღერა“. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

მარჯანიშვილის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ „სუხიშვილები“, „ერისიონი“, „რუსთავი“, ბიჭუნათა გუნდი „საგალობელი“ „ალილო“, „ლაშარი“, „კელაპტარი“, „თეატრალური კვარტეტი“, ფრიდონ სულაბერიძე, ლელა თათარაიძე, რევაზ ბერაძე, ლიზა ბაგრატიონი, გიორგი უშიკიშვილი, დათო არჩვაძე.

საღამოს ორგანიზატორი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრია, ხოლო საღამოს მხარდამჭერი – ქალაქ თბილისის მერია, ღონისძიების საინფორმაციო მხარდაჭერა ფოლკრადიომ ითავა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ბერტა ხაფავასა და ლადო მექვაბიშვილს ვარსკვლავები გაუხსნეს

**ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის წინ კიდევ ორი ხელოვანის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა. ბერტა ხაფავასა და ლადო მექვაბიშვილს ვარსკვლავები ამ უქმეებზე გაუხსნეს.**







საზეიმო ცერემონიალს თეატრის მმართველი, რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი უძღვებოდა. როგორც მან თეატრის წინ საზოგადოებას განუცხადა, ეს ორი ადამიანი, ნამდვილად ღვაწლმოსილი და დამსახურებული ხელოვანია. მათ ქართული კულტურისთვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღეს.

თეატრის ხელმძღვანელთან ერთად ვარსკვლავის გახსნას მსახიობებს მათი კოლეგები, ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები, მათი შემოქმედების გულშემატკივრები ესწრებოდნენ. ბერტა ხაფავა და ლადო მექვაბიშვილი ვარსკვლავის გახსნას ერთმანეთსაც გულითადად ულოცავდნენ და მილოცვებს სხვებისგანაც იღებდნენ.

მართალია, საბავშვო თეატრი მოგვიანებით ჩაერთო ვარსკვლავების გახსნის ფერხულში, მაგრამ თეატრის მმართველს დიმიტრი ხვთისიაშვილს მიაჩნია, რომ მათ თეატრში ნამდვილად ბევრი ღირსეული ადამიანია, ვინც ვარსკვლავის გახსნას იმსახურებს. თეატრის წინ უკვე გახსნილია რეზო თავართქილაძის ვარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე